პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივანი № 19 საერთო №

№ 225 ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 192 წ. № 225

1 დეკემბერი
ხუთშაბათი

1919. გერმანიის დამოუკიდებელი პარტიის კონგრესი ლაიპციგში. კონგრესზე გამოიტანეს რეზოლუცია შიდა მენშევიკებთან კავშირის გაწყვეტის შესახებ.

1879, თავდასხმა ალექსანდრე მეორეზე ალექსანდროვსკის ახლოს. ამ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდნენ ჟელიაბოვი, იაკიმოვა და სხვები.

ამიერ-კავკასიის საოლქო პარტიული თათბირი

რ. კ. პ. ც. კ. კავბიურო 1921 წ. 5 დეკემბრისათვის იწვევს ქალ. თბილისში პარტიული ორგანიზაციების ამიერ-კავკასიის საოლქო თათბირს.

ამ თათბირის დღიურ წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია.
2. პარტიის შესამოწმებელ კავკასიის საოლქო კომისიის მოხსენება.
3. მოხსენებები ადგილებიდან.
4. დრო და დღისწესრიგი ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მომავალ ყრილობისათვის.

თათბირზე მოწვეულია წარმომადგენლები ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიის ყველა ცენტრალური კომიტეტები, წითელი არმია, რ. კ. პ. ც. კ. კავბიურო, ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფსაბჭო, საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის პროფსაბჭოები, წარმომადგენელნი ოლქებისა: ნახიჩევანისა, აბხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და ზანგეზურის; წარმომადგენლები შემდეგი ქალაქების პარტიულ ორგანიზაციებისა: თბილისი, ბაქო, ერივანი, ბათომი, განჯა, ქუთაისი, ალექსანდროპოლი, შუშა, ლენქორანი, შემახა, ზაქათალა, ფოთი, ხაშური, ოზურგეთი, ლეჩხუმი, თელავი, ტყიბული, ჭიათურა.

რ. კ. პ. ცეკას კავბიუროს მდივანი ნაზარეტიანი.

3ს ნოემბრისათვის დანიშნული ქალაქის პარტიულ კონფერენციის გახსნა

გადატანილია 1 დეკემბრისათვის, საღამოს 5 საათზე მუშათა სასახლეში.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.

საქართველოს კ. პ. ცეკას აგიტპროპის განყოფილება

სთხოვს სამაზრო რევკომების ყველა წარმომადგენლებს გამგზავრების წინ შემოიარონ ს. კ. პ. ც. კ. აგიტპროპის განყოფილებაში, (რუსთაველის პრ. № 22) ლიტერატურის მისაღებათ.

მე-4 რაიონში საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლათ დამატებით მობილიზაცია უკეთდება

შემდეგ ამხანაგებს: ქავთარაძე სერგო, წივწივაძე ილია, ოდილავაძე კირილე, ტოროშელიძე მალაქია.

თბილ. კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.

საბჭოს არჩევნებისათვის

თბილისის საბჭოს საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. გამოქვეყნდა სათანადო ინსტრუქცია, მოეწყო საარჩევნო კომისიები, მუშათა რაიონებსა და დაწესებულებებს, ჯარის მასებსა და მის ნაწილებს დაეტყო გამოცოცხლება, არჩევნების სამზადისში არიან ჩაბმულნი. მნიშვნელობა საბჭოების მუშურ გლეხურ სახელმწიფოში, მისი როლი დანგრეული მეურნეობისა და ქვეყნის საგარეო ყოველგვარ მოსალოდნელ ცვალებადობის პირობებში, როდესაც უაღრესათ საჭიროა უფრო მეტათ, ვინემ როდესმე, რევოლუციონური სიმტკიცე, მშრომელთა საქმისათვის თავდადება და მასსიური შემოქმედების უნარი, აუცილებლათ ხდის ჩვენი პარტიისათვის და მათთვისაც, ვინც არა მარტო სიტყვით, არამედ ნამდვილათ სდგას საბჭოთა რეჟიმის ნიადაგზე, განსაკუთრებულ ენერგიას, მშრომელთა და ჯარისკაცთა მასსიურ ჩარევას არჩევნებში, რათა მომავალი თბილისის საბჭო, საბჭოები ჩვენი ქვეყნის დანარჩენი კუთხეების, იყვნენ ღირსეული მატარებელნი მშრომელთა ძალა-უფლების, დაუნდობელნი შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში, დაუსუსტებელი ენერგიის აღორძინებულ ცხოვრების აღდგინა-მოწყობაში, ჭეშმარიტი გამტარებელნი საბჭოთა რესპუბლიკების ძმური სოლიდარობის. ასეთები უნდა იყვნენ მომავალი საბჭოები, მაგრამ ასეთები არ არიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ამოძრავდებიან საარჩევნო კამპანიის პროცესში ან იმ მიზნით, რომ რამოდენ მეთ ხელი შეუშალონ—თუ ასეთები იქნებიან—მის ნორმალურ მიმდინარეობას ან და დააბრუნდონ მისი მნიშვნელობა და ჭეშმარიტი დანიშნულება. ჩვენ სინამდვილეში კვლავ მოქმედებენ ის ჯგუფები, რომლებსაც ბატონობა დასცა თებერვლის გადატრიალებამ და რომლებიც შეურიგებელ მტრულათ განწყობილნი არსებული რეჟიმის მიმართ, მატარებელნი არიან კონტრ-რევოლუციის. მათი მოწინავე ელემენტები, გადახვეწილნი უცხოეთში, ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში ინტერვენციას ყოფილი ბატონობის აღსადგენათ. აქ დარჩენილები მიმართავენ პროვოკაციას, სცდილობენ მოაწყონ გამოსვლები შინაურ ცხოვრებაში არევ დარევის შესატანათ, მშრომელთა მძიმე მდგომარეობის კვლავ გასართულებლათ, გარეშე სიძნელეთა შესაქმნელათ. ისინი მტრები არიან როგორც არსებულ სოციალ პოლიტიკური სისტემის, ისე მშრომელთა ფართო მასების ყოველდღიური სასიცოცხლო ინტერესების მათი კეთილდღეობის. მათ შეუკავშირეს თავის ბედ-იღბალი და მომავალი ქვეყნის დამქცევ და გამანადგურებელ იმპერიალიზმს, ისინი ხელს უწყობდენ რუსეთის შავ რეაქციას რევოლუციასთან ბრძოლაში, მათ გახადეს საქართველო გარეშე და შინაური კონტრ-რევოლუციის ნაძირალთა სათარეშო ასპარეზათ. ამ პოლიტიკურ ავანტიურაში მათ კისერი მოიტეხეს და დღეს დაღუპული საქმის გამოსწორებას ცდილობენ, რამდენადაც ამის საშუალება კიდევ შესწევთ, ქვეყნისათვის ახალი საშინელების მომზადებას. თბილისის პროლეტარიატმა, საქართველოს მშრომელთა მასამ მათ საკადრისი პასუხი უნდა გასცენ ერთხელ კიდევ მომავალი არჩევნების დროს, სულ ერთია მიიღებენ ისინი აქტიურ მონაწილეობას თუ შეეცდებიან რომ [illegible] შეუშალონ. ჩვენი მშრომელი მასა აღზრდილი რევოლუციონურ და ინტერნაციონალისტურ ტრადიციებში გასაქანს არ მისცემს იმ ჯგუფებსაც, რომლებიც სიტყვით თითქოს რევოლუციონერები და ინტერნაციონალისტები, საქმით, სინამდვილეში, დიდი გაპირვებით მალავენ თავის ნაციონალისტურ, ხშირათ შოვინისტურ სახეს. არც ერთი მნიშვნელოვანი საარჩევნო და სხვ კამპანია საქართველოში არ გატარებულა, რომ ისინი, თავის ტონის მიმცემ მენშევიკებთან ერთათ არ შეჩრილიყვნენ ეროვნული მტრობა-ქიშპისა და მძულვარების აგენტებათ. მიუხედავათ „მრავალმნიშვნელოვანი" და „დიდათ პრინციპიალური" დეკლარაციებისა საბჭოთა რეჟიმის ცნობისა და ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობის შესახებ, ისინი ხშირათ ობიექტიურათ თამაშობენ დღეს როგორც ერთის ისე მეორეს დამრღვევლების როლს, რამდენათ ამას აძლევენ თავის სუსტი ძალებით. ზოგი თავის გამოსვლებით ისინი ხელს უწყობენ ქართველი მუშების იმ არა ქართველ მშრომელთა წინააღმდეგ დაპირისპირებას, რომლებიც ჩაბმული არიან დღეს ყოველდღიურ მუშაობაში და თავის მარჯვენით ქმნიან სხვებთან ერთად ჩვენი ქვეყნის დოვლათს და ეკონომიურ კეთილდღეობას, რომლებიც განუყოფელნი არიან სხვა ეროვნების წარმომადგენელთაგან. როგორც უახლოესი, ისე საბოლოო მიზნით, რევოლუციის მონაპოვართა დაცვით, ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლით ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებისათვის მუშაობით. საქართველოს და არა მარტო ქართველმა მუშებმა უნდა მოსთხოვონ ამ ჯგუფებს ლამაზი სიტყვები საბჭოთა რეჟიმის ცნობისა, ინტერნაციონალიზმისა და ერთა სოლიდარობის შესახებ საქმით აქციონ თუ მათი სურვილია ემსახურონ როგორც მშრომელთა მასსების, ისე ჭეშმარიტად გაგებულ ერის ინტერესებს, ემსახურონ სოციალისტურ რევოლუციას. მხოლოთ საბჭოები, შემდგარი მუშათა და ღარიბ გლეხთა რევოლუციონური პარტიის წარმომადგენელთაგან, კომუნისტებისაგან, ყველა იმ ელემენტებისაგან, რომლებმაც რევოლუციონური ბრძოლის გრძელ მანძილზე დაამტკიცეს თავდადება და შეუდრეკელი ნებისყოფა მუშათა საქმის გასამარჯვებლათ, მხოლოთ ასეთი საბჭოები შესძლებენ შეიქნენ ნამდვილი ორგანოებათ მშრომელთა ძალა უფლების, ჭეშმარიტ ბატონ-პატრონებათ ჩვენი ქვეყნის და განმამტკიცებლებათ ერთა სოლიდარობის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, თბილისის, საქართველოს მშრომელი მასა საჭირო სისწორით დააფასებს როგორც მტრებს ისე „მტერ მეგობრებს" და მომავალ არჩევნებში გამარჯვებას მიანიჭებს თავის პარტიას, საქართველოს კომუნისტურ (ბოლშევიკების) პარტიას.

ფედერაცია

(კავბიუროს რეზოლიუციის გამო*)

როგორც ხედავთ თვით პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოში იბრძვის ორი ძალა, ორი ტენდენცია: ერთი მიისწრაფის სრული დიქტატურისაკენ, ხოლო მეორე ამ დიქტატურის უფრო და უფრო მეტი შერბილებისაკენ.

ისტორიული თვალსაზრისით პირველი ტენდენციაც და მეორეც—ორივე ერთნაირათ აუცილებელი ხდება, ვინაიდან მათი ურთიერთშორისი ბრძოლა საზოგადოებრივ მოძრაობას აწესრიგებს, ათანაბრებს და ერთ გარკვეულ კალაპოტში აყენებს, საზოგადოების ისტორიულ წარმატების, წინსვლელობის სწორ ხაზს ჰქმნის. ამიტომ არის ამხ. ლენინი მუდამ ამ ერთი სწორი ხაზის გამომძებნელი ვებაშია და მისი სისწორით გატარებაზე ხარჯავს მთელ თავის უშველებელ ძალღონეს. მისი დევიზია: „არც მარჯვნით, არც მარცხნით". მან ეს დევიზი მისცა წარსულ კონგრესზე მესამე ინტერნაციონალს და კომუნისტური ინტერნაციონალიც დღემდე ამ გზაზე დგას.

მართალია კომუნისტური პარტიის დანიშნულება პროლეტარიატის დიქტატურის სრულყოფა და განხორციელებაა, მაგრამ პარტია, როგორც რეალური პოლიტიკის და ტაქტიკის მატარებელი, მუდამ ანგარიშს უწევს ისტორიულ—რეალურ პირობებს და ამისდამიხედვით იბრძვის, აქისდამიხედვით მიიწევს წინ და არა მარტო თავის სურვილების თანახმათ.

ჩვენ არასოდეს „უტოპისტები" არ ვყოფილვართ და ვერც ვიქნებით. ჩვენს პარტიაშიაც, როგორც სხვა ყოველ პარტიაში, ბევრჯერ იყო და ახლაც არის გადახრა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, მაგრამ მეორე პარტიებთან შედარებით ჩვენს პარტიას ის უპირატესობა აქვს და ის ღირსება, რომ ასეთ გადახვევას და მერყეობას მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს და სწორი საშუალო ხაზის შემუშავებას და გატარებას ყოველთვის ახერხებს.

ჩვენი პარტიის უმრავლესობა დღიდან თავის გაჩენისა დღემდე არ გადაცდენია ამ სწორ ხაზს და არც არის საშიში ვფიქრობთ, რომ ის ასეთ ხაზს გადაცდება ვინაიდან თავის ტაქტიკას ის საფუძვლათ უდებს არსებულ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას და ამ განწყობილების შეფასებას ის ახდენს ყოველთვის ისტორიულ-კლასობრივი თვალსაზრისით.

ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ანგარიშს უწევს ყოველივეს, რაც ისტორიულათ გარდუვალია, თუნდაც ეს კლასობრივ ინტერესებს განაშლებულ ვადაში არც უწყობდეს ხელს, ხოლო მეორე მხრით ანგარიშს უწევს კლასის და მასსების არსებულ სიდღეისო მოთხოვნილებას და იბრძვის ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, მაგალითათ ასე მოიქცა პარტია, როცა ის იბრძოდა რუსეთში გლეხთა მასსების დასაკმაყოფილებლათ „მიწის გათანასწორების" ნიადაგზე. ასევე იქცევა ის ეროვნულ საკითხშიაც, როცა ერთ მთლიან სახელმწიფოს ნაცვლათ ერთა ფედერაციის ჰქმნის.

როგორც ხედავთ თვით ფედერაცია, ეს ერთგვარი დათმობაა, ერთგვარი კომპრომისია, ანგარიშის გაწევაა, როგორც ისტორიულ პირობებთან ისე შემდგენელ ერების საჭიროება—ინტერესებთან.

პროლეტარიატს თითქო უნდა ეთქვა: არავითარი ეროვნული რესპუბლიკები, არავითარი საზღვრები სხვა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, არამედ მხოლოდ ერთი საბჭოთა ერთიანი პროლეტარული რესპუბლიკაო; მაგრამ ის ახლანდელ გარდამავალ ხანაში ანგარიშს უწევს შინ [illegible] საჭიროება ინტერესს ხოლო გარეთ სხვა და სხვა ერების ისტორიულ კულტურულ პირობებს, რის გამოც ის შინ წვრილ მწარმოებელ მასსების მიმართ „ახალ ეკონომიურ პოლიტიკას" აწარმოებს, ხოლო საბჭოთა ეროვნულ რესპუბლიკების დასაკავშირებლათ ფედერაციას ჰქმნის. ამაზე მეტი დათმობა ამ მხრით პროლეტარიატს არ შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში მან თავის კლასობრივ დიქტატურაზე სავსებით ხელი უნდა აიღოს და კვლავ ბურჟუაზიულ დემოკრატიზმს უნდა დაუბრუნდეს. ეს კი ყოვლად შეუძლებელია. ვინაიდან სახელმწიფოს სათავეში მყოფი კლასი არასოდეს თავისი ნებით ძალაუფლებაზე ხელს არ აიღებს. ეს მხოლოთ მოწინააღმდეგე კლასების ძალდატანებით, კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებით არის შესაძლებელი და ამიტომაც პროლეტარიატის პარტია და მისი სახელმწიფო თავის მთავარ ძალ-ღონეს ასეთი კონტრრევოლიუციის დასათრგუნავათ ხმარობს.

მაშასადამე მაქსიმალური, შესაძლებელი დათმობა და კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლა აი დღევანდელი დიქტატურისთვის მებრძოლი, ძლევამოსილი პროლეტარიატისა!

და როცა ამ პროლეტარიატის დიქტატურის სახელით რომელიმე კომუნისტური ჯგუფი, გინდა ცალკე პიროვნება გაიძახის: კმარა დათმობა, საჭიროა კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა და დიქტატურის გატარებაო, ის უნდა შევეკითხოთ და ვკითხოთ; ამხანაგო! კარგათ გაქვს აწონილ-დაწონილი, თუ რამდენი და როგორი დათმობაა საჭირო ახლანდელ მომენტში იმისთვის, რომ შემდეგში უფრო უმტკივნეულოთ შესძლოს პროლეტარიატმა თავის დიქტატურის გატარება, თუ არა?

კომუნისტს, რომელსაც არსებული ძალთა განწყობილებისათვის, მშრომელთა მილიონიან მასსების მოთხოვნილება-საჭიროებისათვის და ამ მასსების ეროვნულ-კულტურულ ვითარებისათვის სწორი ანგარიში ვერ გაუწევია და მხოლოთ თავგადებული ხმამაღლა გაჰყვირის: არ შეიძლება მეტი დათმობა, პროლეტარიატის ბრძანება უნდა გატარდესო, ჩვენ შეგვიძლია ლენინის თქმით „საყმაწვილო სენით შეპყრობილი" ვუწოდოთ და „წესიერებისაკენ" მოვუწოდოთ მას!

ჩვენმა პარტიამ ი ის ორგვარი გადახრა: ერთი მარცხნივ „ოტზოვისტური" ტიპისა, ხოლო მეორე მარჯვნივ „დამოუკიდებელ მუშების" ტიპისა. პირველნაირი გადახრა არსებულ რეალურ პირობებს ანგარიშს არ უწევს და გაიძახის: „არავითარი დიდი დათმობა", ხოლო მეორე ნაირი გადახრა კი პირიქით დარბაისლურათ ღაღადებს: „დაიცადეთ, ჯერ ნაადრევია, მეტი დათმობაა საჭიროო".

მთელი სიბრძნე რუსეთის კომუნისტური პარტიისა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ მან იცის, თუ როდის რა უნდა „დათმოს", უკან რა გზით უნდა დაიხიოს და ისიც იცის, თუ როდის რა არ უნდა დათმოს და მედგრათ, დაუზოგველათ წინ გასწიოს!

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ფედერაცია ეს ერთგვარი აუცილებელი მაქსიმალური დათმობაა საბჭოთა ეროვნულ რესპუბლიკების ეროვნულ-კულტურულ საჭიროება—ინტერესების წინაშე და ამიტომ ამის წინააღმდეგი, ([illegible], ჩვენს ფედერალისტებსაც კი არაფერი არ უნდა ჰქონდეთ და, რა თქმა უნდა, მით უფრო რომელიმე კომუნისტს!

მაგრამ კომუნისტური პარტია ყოველ თავის ნაბიჯს, ყოველ დათმობას მომენტის ვითარებას და ადგილობრივ პირობებს უფარდებს. ის თავის პრაქტიკულ მოქმედებაში მარტო ზოგადი საერთო პრინციპიალური მოსაზრებით და საერთოთ დათმობის საჭიროებით როდი ხელმძღვანელობს, არამედ აგრეთვე მომენტს და მთელ თავის ძალ-ღონეს მთავარ საჭიროებისაკენ მიმართავს. ამას ის „დამკრავ" აქტს უწოდებს. ასე იქცევა დათმობის საკითხშიც. თუ მომენტის საჭიროება მოითხოვს, ის მაშინ დიდ მაქსიმალურ დათმობაზედაც მიდის, ხოლო პირიქით თუ მომენტის საჭიროება არავითარ დათმობას არ მოითხოვს, მაშინ ის სასტიკათ კილოთი აცხადებს: „არავითარი დათმობა"!

კომუნისტურ პარტიას რომ 18 და 19 წლებში ნატურ-გადასახადის კანონი გამოეცა და დღევანდელ დათმობის პოლიტიკას დადგომოდა, ცხადია, ის სამოქალაქო ომში დამარცხდებოდა და დენიკინს გაამეფებდა. ამ ხანის „სამხედრო და მოხმარების კომუნიზმის" ლოზუნგი იყო: არავითარი დათმობა, ყველაფერი სამოქალაქო ომისთვის, რომ პროლეტარიატმა ამ ომში გაიმარჯვოს! და გაიმარჯვა კიდეც და ამ გამარჯვების შემდეგაც, რომ მას კვლავ განეგრძო ყვირილი, არავითარი დათმობაო, ეს აშკარა სიგიჟე იქნებოდა მისი და სამუდამოთაც დამარცხდებოდა.

ამიტომ ის დაადგა ახალ კურსს; ყველაფერი ეს მომენტის დაფასებიდან გამომდინარეობს.

ასე მოხდა ფედერაციის საკითხის შესახებაც.

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი პრინციპიალურათ გადიჭრა ჯერ კიდევ 18 წელს რუსეთის საბჭოების ყრილობაზე და რუსეთის საბჭოთა კონსტიტუციაში შეიტანეს. მაგრამ კითხვა, თუ სად, რომელ დროს და ჩარჩოში რა გზით უნდა განხორციელდეს ეს პრინციპი, ეს ფედერაცია, ამაზე არც პარტიულ ლიტერატურაში და ვერც პარტიულ პრაქტიკაში პასუხს ვერ ვხედავთ, რადგან ამისთვის კონკრეტულ პირობების აწონ დაწონვაა საჭირო. და თუ დღეს „ამიერ კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკების" ფედერაცია პარტიული ცენტრიდან ცხადდება, უნდა ვფიქროთ, რომ ამ ნაბიჯს პარტია მიმდინარე მომენტის დაფასების თანახმათ სდგამს.

ახლა ჩვენ, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციის—საქართველოს კომუნისტურ პარტიას—მხოლოთ ის გვმართებს რომ 1) კარგათ გავითვალისწინოთ პარტიული ცენტრის მიერ ამ მიმდინარე მომენტის დაფასება, 2) კარგათ აწონ-დაწონოთ, გამოვარკვიოთ ადგილობრივი, განსაკუთრებული პირობები და ვითარება და 3) ამის თანახმათ გადაჭრით შევუდგეთ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

რაჟდენ კალაძე.

(დასასრული იქნება).

---

*) იხ. კომუნისტი №№ 223,224.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

მდგომარეობა ტფილისის მაზრაში.

ა. წ. ნოემბრის 12-ს მოხდა ტფილისის მაზრის ყველა სარაიონო და სათემო რევკომთა თავმჯდომარეების ყრილობა რაიონის პარტკომების პასუხისმგებელ მდივნებთან და მილიციის უფროსებთან ერთად. კონფერენციამ გამოარკვია, რომ ტფილისის მაზრაში მოსავალი წელს ძლიერ ცუდია. სართიჭალის რაიონში, იორის ხეობაში, როგორც პური ისე სიმინდი და ვენახი ძლიერ დაზიანებულია, სეტყვა საგან დაეტყვილია აგრეთვე მანგლისის რაიონის ვერის ხეობა. მხოლოდ ერთად-ერთ წალკის რაიონში იყო კარგი მოსავალი, მაგრამ, ნათესი ცოტა იყო. ყარაიაზის რაიონში სიმინდის და პურის მოსავალი სრულებით არ არის, დანარჩენ რაიონებში სიმინდის მოსავალი კარგია. ღვინის და კარტოფილის მოსავალი ჩინებულია.

სასურსათო მდგომარეობა თითქმის კრიტიკულია. მთელ მაზრას მოელის მარტ აპრილიდან სიმშილი. ზოგიერთ ნაწილებს, როგორიც არის ყარაიაზის რაიონი, და ნაწილი სართიჭალისა—გამოკვება შეუძლიათ მხოლოდ იანვარ-თებერვლამდის.

ხალხის საერთო განწყობილება—მიუხედავათ ასეთი მოუსავლიანობისა—კეთილ სასურველია. ექსცესებს და კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს არსად ადგილი არ ქონია. მცხოვრებთა დამოკიდებულება მთავრობისადმი მთელ მაზრაში სასურველია. ხალხი მთავრობას ოპტიმისტურათ შეჰყურებს და სრულ ნდობას უცხადებს.

ცენტრალური ორგანოების მუშაობა მთელ მაზრაში იწარმოებს, მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს და არის იმედი, რომ სრულ ნდობას დაიმსახურებენ მომავალშიაც.

მიწის კომიტეტები მაზრის ყველა რაიონებში მუშაობენ. ყოველგვარ კონფლიქტს მიწის ნიადაგზე წარმოშობილს—იქვე არჩევენ და საერთოდ მაზრაში ამ ნიადაგზე არავითარი თვალსაჩინო უთანხმოება არ ყოფილა თუ არ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ მნიშვნელობის როგორიც იყო მანგლისში.

[illegible] და მიწის კომიტეტებს შორის არსებობს სრული სიმპატია და ეს კომიტეტები მიაჩნიათ მათ ერთად ერთ ავტორიტეტულ ორგანოთ. მიწის კომიტეტებში შემოვიდა ხუთასამდე განცხადება—საჩივარი მიწის შესახებ, რომლებიც თითქმის გარჩეული და დაკმაყოფილებული არიან.

სწავლა განათლების საქმე მთელ მაზრაში კარგად არის დაყენებული. მაზრაში არსებობს 109 სკოლა, რომელშიც ხუთი უმაღლეს—დაწყებითია და ორი კი შრომის სკოლის ტიპის. ამათში ახლად გახსნილია მხოლოდ ერთი. მაზრაში გახსნილია 21 სამკითხველო და რვა ბიბლიოთეკა. ხუთი კლუბი—აუდიტორია; 22 თეატრი, სადაც წარმოდგენები თითქმის სისტემატიურად იმართება. სკოლებში სწავლა ყველგან დაწყებულია. მოზრდილთა უსწავლელობის სალიკვიდაციოთ გახსნილია 22 სკოლა.

მაზრაში პროპაგანდის საქმე კვარიანათ არის მოწყობილი, რომელსაც ხელმძღვანელობს სამაზრო პარტიული კომიტეტი რევკომთან ერთად. ყველა ცხრა რაიონში არსებობს რაიონული პარტკომები პასუხისმგებელ მდივნებით, რომელთა შემწეობით ნაწილობრივად ხანგამოშვებით იმართება კონცერტ-მიტინგები, კრებები, კითხვა ლექციების, საუბარი და სხვა.

შენიშნულია, რომ მაზრაში გლეხთა საჩივრები უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივი ხასიათისაა და ამიტომ ხშირად იქვე ირჩევა, დაწესებულებებისადმი საჩივრები ერთობ ცოტა შემოდის, რომელსაც რევკომი დიდ ყურადღებას აქცევს და საქმეს სასწრაფოდ არკვევს.

რუსეთი

რუსეთი და ფინეთი.

მოსკოვი, 30 ნოემბ. (რადიო). საგარეო საქმეთა კომისარმა გამოაქვეყნა ნოტები, რომლების გაცვლა გამოცვლაც მოხდა ამ დღეებში საბჭოთა რუსეთს და ფინეთს შორის ფინეთიდან კარელიის ოლქში ბანდების შემოჭრის გამო. საბჭ. საგ. საქ. კომისარს მოჰყავს თავის ნოტაში ფაქტები, რომლებიც ამტკიცებს ფინეთის მიერ შეიარაღებულ ბანდების ორგანიზაციას, კარელიაში შემოსატევათ მზადებას, ამ ბანდების თავდასხმას კარელიის სოფლებზე, მკვლელობებს, დარბევას, ხიდების დაფეთქებას და სხვა. საბჭოთა რუსეთი ხედავს ამაში ფინეთის ხელშეკრულების დარღვევას ფინეთის მთავრობის მხრიდან, ყოველგვარი ზარალის პასუხისმგებლობას აკისრებს ფინეთის მთავრობას და მოითხოვს მკაცრი ზომების მიღებას თავდასხმების შეჩერების კარელიის ტერიტორიის შრომის კომუნაზე. საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ რესპუბლიკას მოეძებნება საკმაო საშუალება ასეთ ავანტიურებისაგან საზღვრის დასაცავათ. ფინეთის მთავრობა თავის ნოტაში უარყოფს უხვად აღნიშნულ ფაქტებს და უარს ყოფს ამ თავდასხმებში თავის დანაშაულს და ამტკიცებს, რომ მას სურს დაიცვას საზავო ხელშეკრულება. თავისმხრივ ფინეთის მთავრობა ბრალს დებს საბჭოთა მთავრობას იურიევის ხელშეკრულების დარღვევაში და ამ დარღვევას ხედავს იმაში, რომ კარელიას არ მიეცა საკმაო ავტონომია. ეს, რასაკვირველია, უტიფარი პირმოთნეობაა, რადგანაც კარელი სარგებლობს ფართო ავტონომიით.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინგლისი.

უმუშევრობა ინგლისში.

მოსკოვი, 30 ნოემბერი. (რადიო). ლონდონიდან იტყობინებიან: ტრედიუნიონების, მუშათა პარტიის წარმომადგენლების წარმომადგენელ საერთაშორისო კონფერენციაზე უმუშევრობის საკითხის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია: „უმუშევრობა მძიმე ტვირთია მთელი ხალხისათვის. მრეწველობის კრიზისი გამოწვეულია მთავრობის საგარეო პოლიტიკით და განსაკუთრებით რუსეთისა და ცენტრალურ ევროპის მიმართ. რე-

ზოლიუციით მოუწოდებს მთავრობას ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვას და უარის თქმას სამხედრო ანაზღაურებაზე. რეზოლუცია მოითხოვს მოკავშირეთა ვალების საკითხის გადაჭრას, სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგებას რუსეთთან, პირდაპირ დახმარებას რუსეთის მუშებს და გამოსთქვამს თანაგრძნობას „შიმშილის შესახებ, რომელიც შედეგია მარტო სტიქიის კი არა, არამედ ბლოკადის პოლიტიკისაც. მთავრობას მოუწოდებენ მიიღოს არსებითი ზომები დამშეულების დასახმარებლად, აღადგინოს ვაჭრობა რუსეთთან და მიაწოდოს მას პროდუქტები.

ამერიკა.

ვაშინგტონის კონფერენციაზე.

ლონდონი, 28 ნოემბერი, (რადიო) ბრიანმა ინგლისის დელეგატებს მიმართა შემდეგი სიტყვებით: თუ ინგლისელებს სჭირდებათ დრედნოუტების აგება არა სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად, არამედ სარდინის თევზების საჭერათ, მაშინ ფრანგებისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს წყალ ქვეშ ნავების შენახვა, ზღვის ძირზე წყალმცენარეთა სიმდიდრის გამოსაკვლევათ.

ტოკიო, 23 ნოემბერი (რადიო). ვაშინგტონის კონფერენციაზე ბურჟუაზიული სახელმწიფოთა დელეგატების კამათი ამჟღავნებს იმ უთანხმოებას, რომელიც გამეფებულია საერთაშორისო ბურჟუაზიის შორის. ვაშინგტონის კონფერენცია აშკარავებს მსოფლიო კაპიტალის სრული დაშლის სურათს.

მოსკოვი, 30 ნოემბერი (რადიო). ვაშინგტონის კონფერენციაზე მოელიან რუსეთისა და გერმანიის მიწვევას. ამას მნიშვნელობა ეძლევა როგორც ამერიკის პასუხს საფრანგეთის მიერ გერმანია-რუსეთის საშიშროებაზე მითითების შემდეგ.

— კონფერენციაზე წამოყენებულია ახალი საკითხი ამერიკის ვალების შესახებ ევროპაში. ვალების მოწესრიგების საკითხს კონფერენციაზე განიხილავენ ცალკე. [illegible] ამბობენ, რომ მოკავშირეთა ვალები შემცირდება 50 პროც. თუ კონფერენციას ექნება ხელსაყრელი შედეგები ე. ი. თუ დაეთანხმებიან ამერიკის წინადადებას, კონფერენციაზე შექმნილ მდგომარეობაში კი ლაპარაკიც არ შეიძლება ვალების გაუქმებაზე.

ქრონიკა

◆ **განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი.** გამოვიდა ქართულ ენაზე ორკვირეული ჟურნალი „სახალხო განათლების" პირველი ნომერი. № 1-ში მოთავსებულია შემდეგი მასალა: 1) რედაქციისაგან. 2) „განათლების სახალხო კომისარიატი" სახ. კომისარი დ. ვ. კანდელაკი, 3) „დეკლარაცია სკოლის ასაკამდე აღზრდის შესახებ" ა. ვ. ლუნაჩარსკი. 4) „პოლიტიკური განათლება საქართველოში" ბაქრაძე. 5) „სოციალური აღზრდის მიზნები" ს. შ. 6) „შრომის სკოლა" ქემბურიძე, 7) „სკოლის გარეშე განათლება" [illegible]. 8) „[illegible]" [illegible]. 9) „კლუბი და მოედანი" ი. ა. 10) „სკოლა და ეროვნება" ნაკაშიძე. ამას გარდა მოთავსებულია კიდევ წერილები სკოლების აშენების და საბჭოთა აღმშენებლობის და [illegible] გამოფენის შესახებ. ჟურნალში მოთავსებულია დიდი საინფორმაციო მასალა, რომელიც ეხება სახალხო განათლების ყველა მხარეს; ქრონიკა, პოლემიკა და ოფიციალური განყოფილება. ჟურნალს რედაქტორობს განსაკუთრებული კოლეგია და სცემს განათლების კომისარიატის საორგანიზაციო ცენტრი. პირველი ნომერი გამოვიდა 3000 ეგზემპლიარად. მასალის მიღება [illegible] სწარმოებს ყოველ დღე 2—3 საათამდე განათლების კომისარიატის საორგანიზაციო მმართველობაში.

◆ **სახალხო განათლების კომისარიატის აკადემიურ ცენტრში.** ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა 17 სხდომა სახალხო მეურნეობისა და ინდუსტრიალურ-ტექნიკური ტექნიკუმებში კვლევის გაკვეთილების შემდგენელ და გასახაზავებელ საგანგებო კომისიის გამოკვლეულია პირველი კატეგორიით—7 განყოფილება ხოლო მეორე კატეგორიით—9.

განსაკუთრებით დანიშნული სარევიზიო კომისია რევიზიას ახდენს სახელმწიფო მუზეუმში. რევიზია ჯერ არ დამთავრებულა. ხდება აგრეთვე სახელმწიფო ობსერვატორიის რევიზია.

ცირკულარული წინადადება მიეცა ყველა ადგილობრივ სახალხო განათლების განყოფილებებს წარმოუდგინონ სახალხო განათლების კომისარიატს დაწვრილებითი ცნობები ადგილობრივ ტექნიკუმების რაოდენობის შესახებ, რომლებიც გადმოკეთებულია ყოფილ საშუალო სასწავლებლებიდან, ახალ გახსნილ და გასახსნელ ტექნიკუმების რაოდენობის და მასწავლებელთა და მოწაფეთა რიცხვის შესახებ.

◆ **ბათუმის ნავთსადგური.** 19 და 20 ნოემბერს მოვიდა ორი გემი: „დიმიტრიდი" და დაქირავებული ნავთის კომიტეტის მიერ „ლედი ელექტრა" 9,000 ფუთი ტვირთით. ამავე რიცხვში მოვიდა 4 იალქნიანი გემი. გავიდა ოდესაში გემი „იგნატი—სერგეევი" 670 ფუთი ტვირთით და 260 მგზავრით, აგრეთვე 3 იალქნიანი გემი.

◆ **პროლეტარ მწერლების ასოციაცია.** ახლო მომავალში ეწყობა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. წინადადება ეძლევათ ყველა პროლეტარულ მწერლებს (პოეტებს, დრამატურგებს და რომანისტებს) რეგისტრაციაში გაატარონ პოეტ აკ. აკოპიანთან დღის 11-დან 12 საათამდე (მთავარი პოლიტიკურ განათლების სამართველო, კაბინეტი ამხ. ქურიძისა).

◆ **ბორჯომის სახალხო განათლების განყოფილება.** ბორჯომის სახალხო-განათლება მოეწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებიდან. პირველად ის არსებობდა „კულტურულ განათლების" სახელწოდებით და არ ჰქონდა განყოფილებები. შემდეგ მოეწყო სახალხო განათლება განყოფილებებით: პოლიტიკურ განათლების, სოციალურ აღზრდის და ადმინისტრატიულ — მეურნეობისა. სოციალურ აღზრდის განყოფილების განკარგულებაში იმყოფებოდა 25 სკოლა (9 თვით ბორჯომში და 16 რაიონში.), სახელოსნო სასწავლებელი, 4 უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, 1 ქალთა პროფსკოლა და 19 დაწყებითი სასწავლებელი. მოსწავლეთა რიცხვი თვით ბორჯომში უდრის 600 კაცს. მაშინათვე გადატრიალების შემდეგ აღდგენილ იქმნა სკოლებში მეცადინეობა, რომელიც გაგრძელდა აპრილის ბოლომდის. ზაფხულზე სახალხო განათლების განყოფილებამ დააარსა ბორჯომში ორი საბავშო მოედანი. ერთი მათგანი მოთავსებულია მუშათა უბანში შავწყალზე: ორივე მოედანზე შეუძლიათ იმეცადინონ 200 ბავშვს. ბორჯომის სახალხო განათლების განყოფილება აწარმოებდა ნაყოფიერ მუშაობას, რათა მეცადინეობა რაიონში დაწყებულიყო თავის დროზე და წარმოებულიყო უფრო ხელსშემწყობ პირობებში.

თეატრი და ხელოვნება

რუსთაველის თეატრი

(ყოფილი სახელმწიფო დრამის თეატრი)

კვირას 4-ს დეკემბერს გაიმართება დიდი საზეიმო საღამო სახელმწიფო დრამის თეატრის რუსთაველის თეატრად წოდების გამო. თეატრში გახსნილ იქნება შოთა რუსთაველის ძეგლი. საზეიმო საღამო გაიხსნება გრ. რობაქიძის სიტყვით: „შოთა რუსთაველი". წარმოდგენილი იქნება: კ. მესხის: „რუსთაველი"-ს მეორე სურათი საზეიმოდ გადაკეთებული, და შალვა დადიანის: „როს ხედიმობდენ". წარმოდგენაში მონაწილეობს მთელი დასი, თანამშრომელნი ხორო და ორკესტრი. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

— ხუთშაბათს დეკემბრის 1-ს პირველად მიმდინარე სეზონში დადგმული იქნება რეჟისორ ალ. ახმეტელის მიერ შ. შანშიაშვილის ორიგინალური ტრაგედია „ბერდო ზმანია". შედარებით შარშანდელთან, წარმოდგენილ დადგმაში რეჟისორის მიერ შეტანილია ბევრი ახალი ნიუანსები. დეკორაციები და კოსტიუმები მხატვარ ვ. სიდამონ ერისთავისა. სიმფონიური ორკესტრი ა. გველესიანის ლოტბარობით შეასრულებს დ. არაყიშვილის მუსიკას სპეციალად ამ პიესისათვის დაწერილს. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს თეატრის ხორო და აგრეთვე ბალეტი ალ. ახმეტელის ხელმძღვანელობით.

თბილისის პროლეტარიატი მხარს უჭერს ფედერაციას

24 და 25 ნოემბერს თბილისის ყველა რაიონის წარმოებებში შესდგა მიტინგები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის თემაზე.

მიტინგებმა ყველგან მიიზიდა მუშებისა და მოსამსახურეთა მასები. პასუხისმგებელ მუშაკთა მოხსენებამ ფედერაციის შესახებ ყველა მიტინგებზე გამოიწვია საერთო აღფრთოვანება და უდიდესი ენთუზიაზმი. რეზოლუციები მიღებულ იქნა ერთხმად.

ყოფილ ხეილანოვის ფაბრიკაში.

ყოფილ ხეილანოვის ფაბრიკის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ლედნიევის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ და დაადგინა:

1) „ჩაითვალოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ფედერაცია დროულად და აუცილებლად.

2) ეკონომიურად და მეურნეობის მხრივ გაერთიანებული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები უფრო სწრაფად შესძლებენ თავის დანგრეულ მეურნეობის აღდგენას, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს ამიერ-კავკასიის მუშებისა და ღარიბ გლეხების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

3) ამიერ-კავკასიის საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ის ცენტრია დასავლეთის მტაცებლების აგრესიულ განზრახვებისა, რაც აიძულებს გაერთიანებას ამიერ-კავკასიის მუშა გლეხთა ხელისუფლებას შეერთებულ, ძლიერი შეტევით დასავლეთის კაპიტალისტების მტაცებლურ განზრახვების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ერთიან შრომის რესპუბლიკას.

გაუმარჯოს მსოფლიოს მუშა-გლეხების გაერთიანებას".

ყოფ. ენფიაჯიანცის ფაბრიკაში.

ყოფ. ენფიაჯიანცის ფაბრიკაში მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„ყოფ. აქც. საზოგ. „ა. ენფიაჯიანცის" თამბაქოს ფაბრიკის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრება ესალმება რ. კ. პ. კავბიუროს დადგენილებას ამიერ-კავკასიის ფედერატიულად შეკავშირების შესახებ და ხაზს უსვამს ასეთ გაერთიანების აუცილებლობას, რომელიც გამომდინარეობს პოლიტიკურ ეკონომიურ და სამეურნეო მოსაზრებებიდან; საბჭოთა რესპუბლიკების განცალკევებული არსებობა მძიმედ აწვება ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასებს, რომლებიც ეკონომიურად მთლიან ერთეულს შეადგენს და ამიტომ საერთო კრება ცნობს ამ გაერთიანებას მომწიფებულად და გამოსთქვამს იმედს, რომ ამიერ-კავკასიის გაერთიანებული მშრომელთა მასები ჩქარა შესძლებენ დანგრეულ მეურნეობის აღდგენას, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიური მდგომარეობის სწრაფ გაუმჯობესებას.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა გაერთიანებას!".

საბჭოთა კოლოწკის ფაბრიკაში.

საბჭოთა პირველ კოლოწკის ფაბრიკაში მიიღეს რეზოლუცია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერატიული გაერთიანების საჭიროების შესახებ.

საკერავ და წაღების პირველ ფაბრიკებში.

პირველი სამკერვალო და პირველი წაღების ფაბრიკების მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

„მოვისმინეთ ამხ. ბაგრატ მაჩაიძის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ და მივიღეთ როგორც უდავო ფაქტი და ჭეშმარიტება:

1) რომ აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მუშების და გლეხების ამიერ-კავკასიის ფედერაციაში გაერთიანება თავდებია ამ რესპუბლიკების აყვავებისა; 2. რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბოროტი გათიშვა მუშათა კლასის მტრების მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების მოწყობილია და არა ამ რესპუბლიკების პროლეტარიატისა, რომელიც წარმოადგენს მთლიან ფრონტს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. საბჭოთა სამკერვალო და წაღების პირველი ფაბრიკების მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება აღფრთოვანებით ეგებება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ძლიერ ფედერაციად ჩამოყალიბებას და ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის მედგარ ფრონტის შექმნას ყველა ძმურ რესპუბლიკებში, მსოფლიო ბურჟუაზიისა და საერთო ეკონომიური ნგრევის წინააღმდეგ".

სახ. ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციაში.

25 ნოემბერს მოწვეული იყო სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ყველა მუშები და მოსამსახურენი.

თავმჯდომარეობს ამხ. ხომერიკი.

დღის წესრიგი: 1. მსჯელობა კავბიუროს დადგენილება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ.

მომხსენებელია ამხ. სტურუა. მოხსენება წაკითხულ იქმნა ქართულად და რუსულად.

მომხსენებელმა გაშუქა ეკონომიური საკითხი ფედერაციასთან დაკავშირებით, რევოლუციისათვის ერთა სოლიდარობის მნიშვნელობა, კონკრეტად საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური სისუსტე და დიდი საჭიროება მისთვის საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო დაკავშირებისა, და მოუწოდა ამხანაგებს კავბიუროს დადგენილებისთვის მხარის დაჭერისაკენ.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მოვისმინეთ რა ამხ. სტურუას მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის ფედერაციის შესახებ, ექსპედიციის მუშა-მოსამსახურეები ვესალმებით ასეთ ნაბიჯს და ვცნობთ მას დროულად და მიზანშეწონილად.

კრების თავმჯდომარე კ. ხომერიკი.
მდივანი მჭედლიძე.

არსენალის რაიონი.

25 ნოემბერს არსენალის რაიონის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებაზე მოხსენება გააკეთა ფედერაციის შესახებ ამხ. ელიავამ. მან რუსულ და ქართულ ენებზე ნათლად დაახასიათა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობა და ხაზი გაუსვა იმას, რომ რესპუბლიკების დაახლოვებას ჩვენ გვიკარნახებს როგორც შინაური ეკონომიური მდგომარეობა, ისე ევროპის სახელმწიფოების კონტრ-რევოლუციონური პოლიტიკა.

მენშევიკური სამეფოს საიდუმლოებანი

VI

იმაზე, თუ როგორ უშლიდენ მენშევიკები ხელს დენიკინის ლიკვიდაციას

1919 წლის დასასრული და 1920-ს დასაწყისი აღინიშნა საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალების სრული ძლევით და შესაბამისად საგრძნობი ცვლილებებით თეთრგვარდიელ წრეების მდგომარეობაში. [illegible], დიპლომატებმა და სხვა წვრილ ბურჟუაზიულ ჯგუფებმა [illegible] გამართლება მოიძიეს პოლიტიკური ხასიათის საკითხებში.

ზოგის გენერლები დემოკრატიულ ჰანგზე იწყებენ მღერას... ისინი უკვე აღარ ფიქრობენ ბოლშევიზმის დამარცხებას მარტო რკინით და სისხლით. დამარცხებებით ჭკუანასწავლები, თეთრგვარდიელები ახალ ლოზუნგებს აყენებენ.

„ჩვენ გვესაჭიროება აგრარული რეფორმა და ...საერობო", მოკლედ აყალიბებს კონტრ-რევოლუციონურ ბანაკის ახალ ამოცანებს თავისი სისასტიკით ცნობილი გენერალი კუტეპოვი.

იქმნება ეგრედ-წოდებული სამხრეთ—რუსეთის მთავრობა, რომლის სათავეში დგება სახალხო სოციალისტი მელნიკოვი; ამ მთავრობაში შედის უპორტფელო მინისტრათ მეორე სახალხო სოციალისტი, „ყოფილი ადამიანი" ჩაიკოვსკი.

მრავალ [illegible] დეკლარაციებს დეკლარაციებზე აქვეყნებენ; აქ თვითმართველობაც, აგრარული რეფორმაც, მუშათა კანონმდებლობაც, ეროვნული თვითგამორკვევაც—ერთი სიტყვით, ყველაფერი რაც გნებავთ, პირდაპირ ყოველგვარ სიკეთეს, ოღონდ კი აღადგინონ შერყეული რეპუტაცია, ოღონდ იხსნან თეთრი არმიის უკანასკნელი რაზმები, რათა, სამხედრო ძალების გადაჯგუფების შემდეგ, კვლავ ჩაებან სისხლიან ბრძოლაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ...

ამავე დროს, მოხალისეთა არმიას ურტყამდა მთელი ძალ-ღონით წითელი არმიაც, მწვანე არმიელებიც, და ჩვეულებრივი აჯანყებული გლეხებიც, რომელმაც მწარე გამოცდილებით შეიგნეს, თუ რას წარმოადგენს ეგრედ-წოდებული მოხალისეთა არმია.

ნოვოროსიისკის აღების შემდეგ მოხალისეთა არმიის განკარგულებაში იყო მხოლოდ ვიწრო ზოლი შავი ზღვის სანაპიროზე და თვით მოხალისეთა მიერ დამღუპველ ადგილად წოდებული ყირიმი, სადაც, მაშინ, სხვათა შორის, მოქმედებდნენ კაპიტან ორლოვის აჯანყებული რაზმები.

შავი ზღვის სანაპიროზე და ჩრდილო კავკასიაში მოხალისეებს ყავდათ გულწრფელი მეგობრები, რომელთაც მათთვის, საკვდილის გარდა, სხვა არაფერი სურდათ: ლაპარაკია მთიელ ხალხებზე და შავი ზღვის ნაპირის აჯანყებულ გლეხების შესახებ.

დენიკინის ბანდების ლიკვიდაცია მაშინ საქართველოს დახმარებით უაღრესად ადვილი საქმე იყო. საფიქრებელი იყო, რომ მენშევიკურ საქართველოს, რომელსაც გენერალ დენიკინმა ამოდენა ბოროტება მიაყენა, რომლის თვით არსებობას განსაცდელი მოელოდა, თეთრი გენერალის [illegible] პოლიტიკის წყალობით,—ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყო მოხალისეთა არმიის ლიკვიდაციისათვის.

1920 წლის დასაწყისში საბჭოთა მთავრობა სათანადო წინადადებით მიმართავს საქართველოს საერთო გალაშქრების შესახებ დენიკინის წინააღმდეგ.

როგორც ვიცით, მენშევიკურმა მთავრობამ გადაჭრით უარყო ასეთი გალაშქრება. იგი თავის უარს ასაბუთებდა ქართველი ხალხის სურვილით, რომ ჩვენს სამოქალაქო ომში სრული ნეიტრალიტეტი დაეცვა.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ მაშინ საქართველოსათვის არავითარ ნეიტრალიტეტზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი. თვით ჟორდანია, რომელიც იანვრის შუა რიცხვებში გამოვიდა დამფუძნებელ კრებაში საბჭოთა რუსეთის ხსენებულ წინადადების შესახებ, საქართველოს მთავრობის უარს ხსნიდა იმით, რომ მას დასავლეთთან ურთიერთობის გაწყვეტა არ სურდა ვინაიდან ბოლშევიკებთან ერთად საერთო გამოსვლას მოჰყვებოდა საქართველოსა და მოკავშირეებს შორის დამოკიდებულების შეწყვეტა. სწორედ მაშინ იყო წარმოთქმული მენშევიკ ჟორდანიას მიერ ცნობილი სიტყვა: „დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებს".

დიპლომატების საერთაშორისო ქურდულ ჟარგონში გამოუცდელისათვისაც ცხადი უნდა იყოს, რომ იქ სადაც ლაპარაკი იყო „დასავლეთის იმპერიალისტებისათვის უპირატესობის მიკუთვნებაზე აღმოსავლეთის ფანატიკოსების წინაშე", იქ ნეიტრალიტეტზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა: უპირატესობის მიკუთვნება აუცილებლობით უნდა გამოხატულიყო არა ნეიტრალური ხასიათის განსაზღვრულ მოქმედებებში...

აი როგორ გვიხატავენ საარქივო მასალები საქართველოსა და მოხალისეთა არმიას შორის ურთიერთობას 1919 წლის ბოლოში და 1920-ს დასაწყისში (ქვემოდმოყვანილი საბუთი იპოვა საქართველოს შესახებ კომინტერნის საგანგებო კომისიის მდივანმა, ამხ. ბ. შირომანოვმა, გენერალ ბარათოვის ბინაზე „მწვანე კონცხზე"):

თბილისი

27 იანვარი 1920 წ. ღრმად პატივცემულო ნიკოლოზ ნიკოლოზისძევ.

9 თებერვალი.

ამ წერილს წაიღებს, ალბად, ფედოროვი, რომელსაც უნდა ხვალ გაემგზავროს. საკვირველი უბედობა ემჩნევა საქართველოსთან მოხალისეთა არმიის შეთანხმების საქმეს. რაღაც ბედისწერა შეუწყვეტლად ქმნის დაბრკოლებებს. ვფიქრობდი, რომ ეხლა ყველა დაბრკოლებები აცილებული იყო. ბლოკადა მოხსნილია, ხოლო ქართველების მხრივ ჩვენი ტყვეები გაშვებულია, კავკავიდან უნდა გამოიყვანონ აქეთ აბაციევი და პოტულოვი საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად საქონლის გადაცვლის, ჩვენი ლტოლვილების გატარების და სხვა საკითხების შესახებ.

საქართველოს რომელიღაც კერძო დელეგაცია, გამოთხოვილი კავკავში საქართველოს ელჩის თაოსნობით, უკვე გაემგზავრა კავკავისაკენ და უცბად იქვე წყდება მოლაპარაკება, აბაციევი და პოტულოვი ჩერდებიან კავკავში, საქართველოს დელეგაცია ყაზბეგში რჩება. გაირკვა, საქართველოს მთავრობას მიუღია ცნობა, რომ გენერალ დენიკინს უბრძანებია შეაჩერონ ყოველგვარი მოლაპარაკება საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ და სხ., იმის გამო, რომ ქართველები თავს დაესხნენ მოხალისეთა რაზმებს სოჭის ოლქში.

ისევ საჭიროა ყველაფერ ამის მოგვარება, ახსნა-განმარტება და სხვა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აქ იმალება რაღაც პროვოკაცია, რომლის გამორკვევა საჭიროა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა ამ ჟამად სხვანაირია, რადგან ჩვენ მოწყვეტილნი ვართ ნოვოროსიისკს, ინდო ევროპიული მავთული შეწყვეტილია სოჭის ოლქში აჯანყების გამო და არ არის საშუალება ტელეგრაფით ურთიერთობის დაჭერისა. ჭოროხთან (ლაპარაკია მოხალისეთა მიერ ქართულ გემის „ჭოროხის" ხელში ჩაგდებაზე ი. შ.) სწრაფი ლიკვიდაცია მოხერხდა სატელეგრაფო კავშირის არსებობის წყალობით; ახლა მდგომარეობა გაცილებით უძნელესია. მე ვეჭვობ რომ საქართველოს მთავრობა ხელს უწყობდა აჯანყებას სოჭში, თუმცა შესაძლებელია, რომ კერძო დახმარებას ჰქონდა ადგილი, როგორც დაღესტანშიც ყოველ შემთხვევაში, მოხალისეთა არმიის მხრით საჭიროა, მომხდარის სრული გამოძიება და უნდა იქნას მოყვანილი კონკრეტული ფაქტები აჯანყებაში ქართველების მონაწილეობის დასამტკიცებლად. ასეთ მოსაზრებებს მე ვსწერ მე შტაბს, რადგან შეუძლებელია დეპეშის გაგზავნა. საქართველოს მთავრობა გვარწმუნებს ჩვენ, რომ მას **ხრულიად არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ აჯანყებასთან და რომ თვითონ ეშინია ამ აჯანყების თავის საზღვრებში გავრცელებისა.**

(შავად აწყობილი სიტყვები ხაზგასმულია წითელი კარანდაშით, უნდა ვიფიქროთ, თვით ბარათოვის მიერ). შევეცდები ხვალ შევიტყო დაწვრილებით ვისი საშუალებით და როგორი სიტყვებით მიიღო მთავრობამ დეპეშა აჯანყებისათვის ხელის შეწყობაში ბრალდების შესახებ და მოვითხოვ, რომ **ისინი შეეცადნენ კერძოდ მოახდინონ გავლენა სოჭის ოლქის ქართველ გლეხებზე, რათა მათ მონაწილეობა არ მიიღონ აჯანყებაში.** (ხაზგასმა ჩვენია. ი. შ.).—ეს იქნება საუკეთესო საშუალება ქართველებიდან ყოველგვარ ბრალდების მოსახსნელად. მე, ჩემის მხრივ, ვარწმუნებდი გეგეჭკორს, რომ აქ, ალბად, იმალება რაღაც გაუგებრობა რომ გენერალი დენიკინი უთუოდ კეთილგანწყობილია საქართველოსადმი, რაც მტკიცდება ინგლისის მისიის საშუალებით ჩემ მიერ მიღებული ცნობით, რომ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდალი სცნობს საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ფაქტიურად არსებულ მთავრობებს, რის შესახებ მე დავალებული მაქვს შევატყობინო მთავრობას. მე შევეცადე ამ ცნობისათვის **არ მიეცა არავითარი ხაზგასმით ხასიათი, რადგან მასში რაიმე განსაკუთრებული არ ვხედავდი: ფაქტიურად ეს მთავრობები ბევრი ხანია არსებობდნენ და ჩვენ მათთან ვაწარმოებდით მოლაპარაკებას, მაგრამ მაინც ცხადი იყო, რომ გეგეჭკორს ეს მოეწონა.** (კურსივი ჩვენია ი. შ.) გეგეჭკორმა ამაზე შეატყობინა სომხეთის და აზერბეიჯანის წარმომადგენლებს თბილისში და გაზეთ „სლოვო"-ში გუშინ უკვე მოთავსებული იყო შენიშვნა გენერალ დენიკინის მიერ საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის „დამოუკიდებლობის"? ცნობის შესახებ? (ხაზგასმა, ფრჩხილები და კითხვითი ნიშნები ტექსტშია. ი. შ.) ეხლა მოგვიხდება ამის გამოსწორება.

ბოლოს ჩვენი სამხედრო ტყვეები გაშვებულია. აქ მოვიდნენ მათი დელეგატები, რათა მიაწყონ მათი გაგზავნები, ითხოვენ ტანისამოსი და ფული. ფულს მივცემთ რამდენიც შევძლით, მათთვის წინად გამოგზავნილ ჯამაგირის დარჩენილიდან. მე გთხოვთ დეპეშით მაცნობოთ გემის მოსვლის და წასვლის დროის შესახებ, რათა შესაძლებელი იყოს მათი რომელიმეზე მოხწრება. გემის შესახებ ცნობის მიღებისთანავე, მე გავგზავნი ბელეცკის რომელიც გაივლის ქუთაისში მათთვის ფულის დასარიგებლად და შემდეგ გაემგზავრება ბათუმში და იქიდან შტაბში ხოლო გადავაწყვეტინებ [illegible], რომ მან დეპეშა ბათუმში გაგზავნოს ქუთაისში ხაზინის ფული, რათა მოამზადოს მატარებელი და სამხედრო ტყვეები გაგზავნოს ბათუმში, აგრეთვე დეპეშა გაგზავნოს ბათუმში გენერალ [illegible] მათ მისაღებად და გემზე ჩასახსნელად (ხაზგასმ. ჩვენია. ი. შ.).

ჯამაგირის დამტკიცების შესახებ უნდა ვთქვა, რომ მე არაფერი ვიცოდი ახლა თქვენ მიერ გამოგზავნილ მთავარ ინტენდანტის დეპეშაზე, რომ მცოდნოდა მისი არსებობა, მე, რა თქმა უნდა, არ შემეძლო დავა დამეწყო თქვენ მიერ საკვები ფულის დამტკიცების შესაძლებლობის შესახებ, ვინაიდან შესაძლებელია ამ დეპეშას დავეყრდნოთ საკვებით. მაგრამ ახლა საქმე უკვე შესრულებულია. ქაღალდი გაგზავნილია და [illegible] შტაბში და დარჩენია მხოლოდ მიენდოს ბელეცკას, დააჩქაროს იქ მისი ასრულება და მიიღოს ყველას მისაცემად საჭირო საკვები ფული. დანარჩენ სამეურნეო საკითხების შესახებ თვითონ ჟუკოვსკი იწერება დაწვრილებით. ჩემი ქაღალდი ჩვენი აქ დატოვების შესახებ ერდელმა თვითონ წაიღო დენიკინთან და დასძინა, რომ იგი შეეცდება მისიის დატოვებას თბილისში. პასუხი ყველა კითხვაზე და ფული უნდა მიიღოს ბელეცკიმ. რაკი ასეა, რომ კაზაკები მაინც გაერთიანდა დენიკინთან. მხოლოდ არ განმეორდეს ახლა ძველი შეცდომები და მაშინ, ღმერთი დაგვეხმარება, ყველაფერი წავა სიუკეთესოდ, თუმცა ძნელია ველოდეთ წარმატებით შეტევას მოსკოვზე, როცა მთელი ქვეყნიერება თითქო იხრება ბოლშევიკებისაკენ და სიევროპა, მან მხარი დაუჭიროს ანტიბოლშევიკურ შეტევას.

სასიამოვნო ცნობა, რომ თქვენ უკეთესადა ხართ და შეგიძლიათ მოძრაობა თვით კიბეზეც. მე ვფიქრობ, რომ ამ ჟამად ყველაზე უფრო მთავარია—ესაა გაუკეთოთ მოხერხებული (სიტყვა გაურკვეველია ტექსტში, ი. შ.).

მიიღეთ გულითადი სალამი მეუღლისაგან, ჩემგან.

თქვენი ერთგული შ. დენი.

მოყვანილი წერილი მრავალ მხრივ საინტერესოა. პირველად ყოვლისა, იგი ადასტურებს ჩვენს აზრს, გამოთქმულს მეხუთე წერილში: „ჯაშიანი თეთრგვარდიელები და წვრილ-ბურჟუაზიული კაცუნები" საქართველოსა და მოხალისეთა არმიას შორის ურთიერთობათა ხასიათზე. მაშინაც კი, როცა მოხალისეთა არმია სულს ღაფავს, დენიკინი მენშევიკების მიმართ თამაშობს პირველ [illegible] როლს და მზად არის, რომელიმე შეუმოწმებელი ხმის მიხედვით მათთან დამოკიდებულება გასწყვიტოს. ხოლო მენშევიკური საქართველო ყოველნაირად ხელს უწყობს გენერალ დენიკინს, აფასებს მის მიერ საქართველოს ფაქტიურ ცნობას, თუმცა, როგორც ეს სჩანს დენის წერილის ხაზგასმულ ადგილებიდან, ამ აღიარებას საკმაოდ

მოხსენების შემდეგ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა არსენალის რაიონის მუშებმა ამხ. ელიავას მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, ვსცნობთ სრულ აუცილებლობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერატიულ საფუძვლებზე შეერთებისას, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ჩვენ როგორც შინაურ მეურნეობის აღდგენის საქმეში, ისე საგარეო პოლიტიკაში და გვსურს მთელი ძალღონე მოვახმაროთ მის განხორციელებას.

ამიტომ, ცხოვრებაში ამ ამოცანების მალე გასატარებლად, მოვუწოდებთ ყველა რესპუბლიკების დ ნარჩენ მუშებს, გამოეხმაურონ ამ გაერთიანებას სათანადო დადგენილებით“.

რეზოლიუცია მიიღეს ერთხმად მხურვალე ტაშით.

რევკომების ყრილობა

საღამოს სხდომა 23 ნოემბერი

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი.

ლაპარაკობს რა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ამოცანებზე, მიწად-მოქმედების სახ. კომისრის თ. ალმ. ამხ. ქოქაშვილი აღნიშნავს, რომ უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა სახალხო კომისარიატისა გამოიხატება საადგილ მამულო კანონის გამომუშავებაში საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე და მის ცხოვრებაში სწრაფად და გონივრულად გატარებაში.

კომისარიატი შექმნილია იმავე გეგმის მიხედვით, როგორც საბჭოთა რუსეთის, ხოლო საქართველოს სასოფლო მეურნეობის თავისებურობის და პატარა ტერიტორიის მხედველობაში მიღებით. სახალხო კომისარიატი იყოფა 6 განყოფილებად: 1. სასოფლო მეურნეობის; 2. საბჭოთა მამულების; 3. სატყეო; 4 საზეითლო სანიტარო; 5. საადგილ-მამულო პოლიტიკისა და 6. საქმეთა მართველობისა.

სასოფლო მეურნეობის განყოფილება.

სასოფლო მეურნეობის განყოფილების მიზნები კულტურულ-განმანათლებელია, საერთო პირობების შექმნით მშრომელთა და სასოფლო მეურნეობის სფეროში ნაყოფიერების ასაწევად. ამ მიზნის მისაღწევად განყოფილების ორგანიზაციები მოსახლეობას ეცნობიან, ასწავლიან და შველიან. განყოფილების მთავარ დაწესებულებებს წარმოადგენს ბოტანიკური ბაღები, საცდელი მინდვრები, საცდელი სადგურები, ფერმები, სასწავლო დაწესებულებები—პრაქტიკული სკოლები, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და სასოფლო მეურნეობის იარაღების და მანქანების საწყობი. განყოფილება და მისი ორგანიზაციები მოსახლეობას აგრონომიულ დახმარებას უწევენ, აწარმოებენ ბრძოლას სასოფლო მეურნეობის მავნეთა წინააღმდეგ, ბრძოლას ფილოქსერასთან, მოსახლეობას ამარაგებენ სანამყნე მასალებით და ვაზის ნამყენით და სხვა.

განყოფილების ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციები და დაწესებულებანი ძალიან დაშავდნენ. მიუხედავად ყოველგვარ სიძნელისა, გაკეთებულია ყველაფერი, რათა შეძლების დაგვარად აღდგენილ იქმნეს ნორმალური მუშაობა. მომავალში მუშაობის პროგრამა იგივე რჩება, რაც დასახული იყო, შინა მრეწველობის ქვეგანყოფილების და სასწავლო დაწესებულებების გარდა. თუ ეს ნაწილები გადავლენ სხვა სახალხო კომისარიატებში შინა მრეწველობის ქვეგანყოფილება დარჩება გაუმჯობესებულ ტეხნიკურ ცოდნის და შინამრეწველობის გამავრცელებლათ.

საბჭოთა მამულები.

საბჭოთა მამულებს მიზნათ აქვთ მცხოვრებთა შორის სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგების ცოდნის გავრცელება, როგორც ცდისა, აგრეთვე მაჩვენებლობითი გზით. 16 მამულიდან 7-ში სწარმოებს თითქმის განსაკუთრებით მევენახეობის მეურნეობა, 3-ში ხილეულობის, და დანარჩენებში, ჩაქვის მამულის გარდა, ხორბლეულისა. ამ წლის გვალვის გამო ჩაქვის მამულში მიმდინარე წელში მოიკრიფა ჩაი 1—3 ნაკლები, ვიდრე გასულ წელს. სავენახე მამულებმა ამ წელში მოგვცეს 74,000 ვედრო ღვინო, ე. ი. 18,000 ვედროთი მეტი, ვიდრე გასულ წელს. მომავალში საბჭოთა მამულებში განზრახულია მრეწველობისა და სოციალისტურ წესწყობილების შეფარდება ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით.

სატყეო განყოფილება.

ამ განყოფილების დანიშნულებას შეადგენს: ტყის დაცვა, მათი მოწყობა და გაშენება.

ამ მიზნების განხორციელება მინდობილი აქვს ტყის გამშენებელ პარტიებს და სამთო კულტურულ ტყის მართველობას. რესპუბლიკას ტყეების საერთო მოედანი უდრის 1,600,000 დესეტინას.

რევოლიუციამდე ყველა ხელშემწყობ გარემო პირობების და აპარატის წესიერ მდგომარეობის დროს, მოწყობილი იყო ტყეების 14 პროცენტი, მენშევიკების ტყის მოწყობის საქმე დაეცა 3 პროცენტამდე. ჩვენ კი, მიუხედავად ყველა არახელსაყრელ პირობებისა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მცირე ხნის განმავლობაში, მოვახერხეთ ტყეების 4 პროც. მოწყობა. 1922 წელში შეუდგებით ტყის მოედნის გაფართოებას, ამასთანავე განზრახულია აჯამეთში 12 000 დესეტინაზე და თბილისთან 500 დესეტინაზე ტყის გაშენება.

საზეითლო საქმე.

ერთ მთავარ მიზანს საზეითლო-სასანიტარო განყოფილებისას შეადგენს ეპიზოტიურ ავადმყოფობასთან ბრძოლა, რომელიც იმსხვერპლავს მრავალ საქონელს და სახელმწიფოს განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობას დიდ ზარალს აყენებს. ეპიზოტიურ ავადმყოფობასთან საბრძოლველად, უმთავრესად შავ ჭირთან, არსებობს საკმარისი მოწყობილობა და სოფელ ტაბახმელაში შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველი სადგური, რომელიც აწარმოებს საკმარის რაოდენობას შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატს, რათა გაუმკლავდეს [illegible] რაოდენობით მაინც ეპიზოტიურ ავადმყოფობას. ნორმალურ მუშაობისათვის სადგურის განკარგულებაში უნდა იყვეს 300 სული საქონელი, ჰყავს კი მხოლოდ 140 სული. თბილისისა და დუშეთის მაზრაში გაჩენილი შავი ჭირი საჩქაროდ მოსპობილ იქნა.

სათესი კამპანია.

1920 წ. სათესი სივრცე შემცირდა 5841 დესეტინით, და დავიდა 600,000 დესეტინამდე—რაგვარ რიცხვით რესპუბლიკის მთელ სათეს სივრცისა. მაგრამ ეს სივრცეც ჩვენ მაზრებში საგაზაფხულო სათესი მასალის უქონლობისა—1921 წლის გაზაფხულისათვის და ანეულის მოუხნელობის დაუთესაობის გამო—წვიმიან შემოდგომის მიზეზით, გვექნება 30—40 პროცენტის შემცირებით, თუ არა მეტით.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ ამას სერიოზული ყურადღება მიაქცია და მიიღო მთელი რიგი ზომებისა მისთვის, რომ თუ დაუთესაობას სრულ არ მოსპობდა, შესამჩნევად მაინც შეემცირა იგი და მარტის 18-ის დადგენილებით მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატთან დაწესებულ იქმნა დროებითი ცენტრალური კომისია მინდვრების დასათესად.

კომისიის მიერ შეძენილია და მოსახლეობისადმი დარიგებულია საგაზაფხულო კულტურის დასათესი მასალა, უმთავრესად სიმინდი 66.318,5 ფუთი, რითაც დაითესა 20 694 დესეტინა და კომისიის დახმარებით 57,983 დესეტინა. ამასთანავე უნდა ისიც აღინიშნოს, რომ თუ საგაზაფხულო სათესი კამპანია თავის დროზე დაწყებული იყო, სრულის რწმენით შეიძლებოდა თქმული იყო, რომ ყველა დაბრკოლებების მიუხედავად შესამჩნევად უკეთეს შედეგებს მივაღწევდით. ახლა შევუდექით შემოდგომის სათეს კამპანიას, რისთვისაც მზათაა 5 ვაგონი ხორბალი. სათეს კამპანიას, პრაქტიკულ შედეგების გარდა, აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა და აქარწყლებს საბჭოთა ხელისუფლების მტრების მიერ გავრცელებულ პროვოკაციას.

საადგილ-მამულო პოლიტიკა.

საადგილ-მამულო პოლიტიკის ამოცანა—მძიმე და რისკიანი პრობლემაა. პარტია სწყვეტს ამ საკითხს პარტიულ ადგილის თვალსაზრისით—ექსპლოატაციის მოსპობითა და ყველა მიწების მშრომელთადმი გადაცემით. მაგრამ ეს როგორ უნდა შესრულდეს? ამ პირობებში მიწით სარგებლობის რომელი ფორმებია უფრო რაციონალური? საბჭოთა რუსეთის გამოცდილებამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ ორ წელიწადში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობის და შემდეგ ცალკე მეურნეობათა მოწყობით მოგვცა უარყოფითი შედეგები. მენშევიკურმა ცდამ მოგვცა უფრო უარყოფითი შედეგები. გავითვალისწინეთ რა ეს ცდები, ჩვენ თავიდან ავიცილეთ შეცდომები და დავიწყეთ მუშაობა აგრარულ რეფორმაში ორ მიმართულებით. ხუთ მაზრაში—თბილისის, დუშეთის, სიღნაღის, ლეჩხუმისა და ახალქალაქისაში, დამთავრებულია წინასწარი მუშაობა ადგილ-მამულის მოწყობაში, დეკემბერში დასრულდება ახალციხის და თელავის მაზრაში, დანარჩენებში კი შესრულებულია მუშაობის 80 პროცენტი და მთელი სამუშაო კი დამთავრებული იქნება მომავალ წლის დასაწყისში. ყოველ სამუშაოზე ცხოვრებაში აგრარულ რეფორმის გასატარებლათ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოები მუშაობდნენ სამაზრო რევკომებისა და საადგილ-მამულო კომიტეტებთან კონტაქტით. მიწის შიმშილობის მოსასპობათ, ყოველი სასოფლო საზოგადოება საზღვრავდა მიწის დამუშავების ნორმას მშრომელ ძალის მიხედვით.

მეორე მხრივ ჩვენი მიწის ნაზომლები ადგილობრივ ჰკრეფდნენ რაციონალურ მიწის მოწყობისათვის საჭირო ნამდვილ ცნობებს, რომელიც დაიწყება 1921 წ. მარტიდან. როდესაც შეკრებილ იქნება ყველა ცნობები მიწის მოწყობის შესახებ, მაშინ შეუდგებით ყოველ მაზრაში მიწით სარგებლობის ნორმის შემუშავებას. მაზრებში დასრულებულ სამუშაოს განიხილავს ცენტრი. მეორე რიგში დასახულია კოლექტიურ მეურნეობის სამუშაო, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ მის პროპაგანდისაგან და მხოლოდ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატისადმი მიმართვისთანავე მოვახდენთ კოლექტიურ მეურნეობათა რეგისტრაციას მათთვის დახმარების აღმოჩენით.

გადასახლების საქმე.

გადასახლების საკითხი მენშევიკების დროს ემსახურებოდა კოლონიზაციის საქმეს ეროვნულ მიზნებით, ჩვენი კი წარმოადგენს დახმარებითი საშუალებას მიწის მოწყობის მიზნებისა და მოსახლეობის უფრო თანაბრად დასახლებისათვის, და აგრეთვე სასოფლო სამეურნეო მშრომელ კომუნა ამხანაგობათა მოწყობის მიზნისათვის. ვამზადებთ აგრეთვე ლტოლვილებს, რომლებსაც ესაჭიროებათ მიწა. საადგილ მამულო ნიადაგზე უსიამოვნებათა გასარჩევად ადგილობრივ და ცენტრებში დაარსებულია განსაკუთრებული კომისიები.

მოხსენების დასრულებისას ამხ. კოკაშვილს ეძლევა მრავალი შეკითხვა, რომელთა უმრავლესობასაც ის პასუხს აძლევს და ზოგიერთებს კი დაჰპირდა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიაში განსახილველად წარდგენას და შემდეგ პასუხის მიცემას.

პატარა ფელეტონი

აღსარება

(მოგონება)

ეხლა, როდესაც უკვე გავტარდი წმენდაში და კომისიის მიერ დამტკიცებული ვარ პარტიის წევრათ, შემიძლია გამოვამჟღავნო ჩემ მიერ ერთხელ პარტიული დისციპლინის დარღვევა.

მოსკოვში, [illegible] ბულვარის გასავალთან გვქონდა გამართული დუქანი, მის ქვეშ სარდაფში კი მოწყობილი იყო არალეგალური სტამბა.

დუქანში ვაჭრობდა სტ. იაგუბოვი, სტამბაში ვმუშაობდით მე და გ. სტურუა.

ეს იყო 1907 წელს, როდესაც სტოლიპინის რეაქციის შავი ბურუსი უკვე ეფინებოდა რუსეთს.

ცხოვრების პირობები მეტად ძნელი გვქონდა. პარტია ვერ გვაწვდიდა სარჩოს თავის დროზე და საკმაოთ. იაგუბოვი კი ისეთი გამოცდილი „ვაჭარი“ იყო, რომ დუქანი ზარალის მეტს არაფერ ხეირს გვიტოვებდა.

ხშირათ მთელი დღეები მარტო პურით და ჩაით გავდიოდით.

ეს გარემოება გვაიძულებდა გვეფიქრა სხვა რაიმე საშუალებაზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ.

ხანდახან მე ლეგალურ სტამბებში დავდიოდი დღეობით სამუშაოთ.

ბუტირის ციხეში ჯდომის დროს 1905—1906 წელში გავეცანი აქ ანარხისტ ზავიალოვს და დავმეგობრდით. ეს მეგობრობა არ შეგვიწყვეტია ციხიდან გამოსვლის შემდეგაც.

თუმცა მან არ იცოდა ჩვენი სტამბის არსებობა, მაგრამ მიმხვდარი იყო, რომ მე ახლო დამოკიდებულება მაქვს არალეგალურ ლიტერატურის ბეჭდვით საქმესთან.

და აი, ერთხელ მან ანარხისტების სახელით მომმართა წინადადებით, რომ დამებეჭდა მათი პროკლამაცია.

ვიქონიე ამის შესახებ მსჯელობა გიორგისთან და მივიღე მისგან დასტური. გავურიგდით ანარხისტებს [illegible] ხუთ მანეთათ. თან ერთნაირი ცენზურული უფლებაც დავიტოვეთ, თუ პროკლამაცია არ მოგვეწონებოდა, ან ბოლშევიკების საწინააღმდეგო იქნებოდა—არ დავბეჭდავდით.

გადავსწყვიტეთ, რომ იაგუბოვისთვის არაფერი გაგვემხილა, თორემ შეუძლებელი იყო, რომ მას, როგორც ჩვენზე უფრო პრინციპების წმინდათ დამცველს, უარი არ გაეცხადებინა.

პროკლამაციის აწყობა ისე რომ იაგუბოვს არ გაეგო ადვილათ შეგვეძლო, მაგრამ მისი გაუგებრათ დაბეჭდვა შეუძლებელი იყო. მას ესმოდა საბეჭდავი მანქანის ხმა. და აგრეთვე იცოდა, როგორც კორექტორმა, თუ როდის რას ვბეჭდავდით.

ამიტომ გადავსწყვიტეთ, რომ გიორგი [illegible] დარჩებოდა ღამით სარდაფში, დაბეჭდავდა პროკლამაციას და დილამდი ისევ შეუმჩნევლათ გამოცხადდებოდა.

ეს გადაწყვეტილება იმავე საღამოს მოხერხებულათ მოვიყვანეთ სისრულეში.

საბეჭდავი სულ რამოდენიმე საათის საქმე იყო.

გაათავა თუ არა გიორგიმ ბეჭდვა, შეკრა, [illegible] ყუთში და ტკბილათ დაიძინა.

დილით, როდესაც გააღო იაგუბოვმა დუქანი, რატომღაც დასჭირდა მას სარდაფში ჩავლა. კარების გაღების ხმაურობაზე გიორგის უცებ გამოეღვიძა და შეშინებული ზეზე წამოიჭრა. [illegible] ყუთები შეინძრნენ და გადაილაგდნენ. ბნელ სარდაფში ოთახის დახედვა არ შეიძლებოდა უსინათლოთ. იაგუბოვი შეკრთა ბნელ სარდაფში ასეთი ხმაურობით, დაახეთქა კარები და გამფრთხალმა უკანვე [illegible] დუქანში, ამ დროს მეც მოვედი და გავსწიე სარდაფისკენ—ვითომ აქ არაფერი ამბავია. შევამჩნიე, რომ მიმავალს გაშტერებული თვალები გამაყოლა უკან იაგუბოვმა. ეს გაცილება თავში აზრმა—ალბათ მიმხვდარიაო ჩვენს საიდუმლოებას მეთქი. სარდაფში გიორგიმ ჩუმი სიცილით მიამბო, რაც მოხდა.

მე ავედი ზევით, მაგრამ იაგუბოვი დაინტერესებული გაზეთს კითხულობდა. ამ დროს გიორგი ჩუმათ გაიპარა უკანა კარებიდან და წინადან შემოვიდა, თითქოს სახლიდან მოვიდაო და სიცივით გათოშილიო.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ იაგუბოვი ვერაფერს მიხვდა. ხმაურობა სარდაფში ალბათ ვირთხებს თუ მიაწერა.

იმ დღესვე წავიღეთ „ზაკაზი“ ანარხისტებს და მივიღეთ ფული.

საღამოს მდიდრულათ შევექეიფეთ სამნივე ვახშამს გ. სტურუასთან ლეონტიევის შესახვევში, იაგუბოვიც ჩვენთან იყო, რომელსაც აქ უამბეთ ყველაფერი. მან ჩაღიმილით გამოტყდა, რომ დილით კინაღამ შიშით გული გაუსკდა, როდესაც ბნელ სარდაფში მოულოდნელათ ხმაურობა მოესმა.

ხ. თ—ია.

მუშათა კოოპერატივების წარმომადგ. თათბირი

თათბირის გახსნა

ნოემბრის 26-ს გაერთიანებულ მუშათა კოოპერატივის შენობის (ყოფ. ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების) რგვალ დარბაზში, შესდგა მუშათა კოოპერატივების წარმომადგენელთა თათბირის გახსნა. თათბირი თბილისის მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის სახელით გახსნა ამხ. ბოლქვაძემ, რომელიც მიესალმა კოოპერაციის მუშაკთა პირველ თათბირს, რის შემდეგაც ამხ. ბოლქვაძემ შეიტანა წინადადება პრეზიდიუმის ასარჩევად.

პრეზიდიუმში აირჩიეს: თავმჯდომარედ ამხ. მ. ტოროშელიძე, თავმჯდომარის ამხანაგად ამხ. მაზურენკო და მდივნად ამხ. მაყაშვილი. პრეზიდიუმის [illegible] თავის ადგილის და-

---

ორაზროვანი ხასიათი ჰქონდა.

ჩვენთვის უფრო საყურადღებოა დენის ცნობები საქართველოს მიერ მოხალისეთა სამხედრო ტყვეების განთავისუფლების და მათთვის ბათომში წასვლის საშუალების მიცემის შესახებ, საიდანაც ისინი იგზავნებოდნენ კონტრ-რევოლიუციონურ ძალების ახალ შესავსებ ადგილას, ყირიმში.

როგორც მოყვანილ წერილიდან სჩანს, თბილისში ამ დროისთვის პოლკოვნიკ დენმა, გენერალ დენიკინის დავალებით, მოაწყო ამ ტყვეების გადაგზავნა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლებიც, როგორც გენერალი გედევანიშვილი. როგორც ვიცით, ყირიმში ამ დროს იკრიბებოდნენ და ეწყობოდნენ ახალი ნაწილები, რომლებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ იქმნება ვრანგელის რუსული არმია.

შემდეგ მიმოხილვებში ჩვენ დავამტკიცებთ, თუ რამდენად შეუწყო საქართველოს მთავრობამ ხელი 1921 წლის დასაწყისში „ლტოლვილების“ და დაკავებულ თეთრგვარდიელების გაგზავნით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი ფრონტის შექმნას, რომელმაც უამრავი მსხვერპლი მოითხოვა საბჭოთა ხელისუფლებისაგან, მსხვერპლი ადამიანებით და ნივთიერად.

რაც შეეხება სოჭის აჯანყებას და დენის მითითებას, რომ ის მოსთხოვს საქართველოს მთავრობას სოჭის ოლქის ქართველ გლეხებზე ზეგავლენის მოხდენას, რათა მათ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიიღონ, ამ მხრივ საბუთები ნებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ პოლკოვნიკ დენმა მენშევიკებისაგან მეტიც კი მიიღო, ვიდრე ის თხოულობდა.

1920 წლის მარტის დასაწყისში საქართველოში ადგილი ჰქონდა კაზაკებისა და საქართველოს კონფერენციას, რომელსაც საქართველოს მთავრობის მხრით ესწრებოდნენ გარეშე საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ი. ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის თანაშემწე გედევანიშვილი, მომარაგების მინისტრის ამხანაგი ქავჭანიძე და ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ავალიანი. კაზაკებისაგან დაესწრნენ: დონის წარმომადგენელი—კოვალევი, ყუბანისა — ზოზულია, თერგისა—ბიგაევი. ამ კონფერენციის ვრცელი ოქმი ჩვენ ვიპოვეთ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს არქივში.

ამ ოქმის სიდიდის გამო იქიდან ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე ადგილს მოვიყვანთ.

ე. პ. გეგეჭკორის სიტყვა.

„მე ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის დღევანდელ სხდომაზე განვამეოროთ ის, რის შესახებაც ინფორმაცია უკვე გაგიკეთეთ ჩვენი პირველი შეხვედრის დროს. ამ ხნის განმავლობაში არავითარი ცვლილება ჩვენ პოლიტიკაში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენი პოლიტიკა არ შეიძლება იცვლებოდეს დროებით გარემოებებზე დამოკიდებით. ჩვენ ნათლად გვაქვს გათვალისწინებული, თუ რაშია ჩვენი ხსნა და სად მოგველის დაღუპვა და ამიტომ ჩვენი პოლიტიკის ხაზი სავსებით გამორკვეულია.

ეჭვს გარეშეა, რომ იმ დემოკრატიას, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, და ჩვენს დემოკრატიას, მრავალი რამ აქვთ საერთო. და რაკი ეს შეგნებული გვაქვს, ჩვენ გვმართებს შეთანხმება, რათა საჭირო ურთიერთობა დავამყაროთ. ეჭვი არ მაქვს, რომ სამოქალაქო ომი ხშირად აყენებს მოულოდნელობათა წინაშე რომ იგი არ ემორჩილება ომის რაიმე კანონებს. ყველაფერ ამას ჩვენ ვითვალისწინებთ, მაგრამ ამასთან ერთად გიცხადებთ, რომ ჩვენი პოლიტიკა დემოკრატიულ კაზაკობისადმი, რომლის წარმომადგენელნიც თქვენა ხართ, ამისაგან არ შეიცვლება და თუ, ჩვენდა საწუხაროდ, თქვენი მდგომარეობა გაუარესდება და იძულებულნი შეიქნებით დაუბრუნდეთ გამოსავალ წერტილს, როცა თქვენ არ გქონდათ თავისი ტერიტორია, და ეჭვი ნუ შეგეპარებათ იმაში, რომ საქართველოში იპოვით ისეთივე მეგობრებს, როგორც ამ ჟამად. უადგილო არ იქნება აქ გავიხსენო, რომ ჩემი, ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარედ ყოფნის დროს, ჩემთან მოვიდა ბიჩერახოვისაგან ოფიცერი კრასნოვი იმის გამოსარკვევად, შეიძლება თუ არა ჩვენ მათ სტუმართ-მოყვარეობა აღმოუჩინოთ საჭიროების შემთხვევაში. და მაშინ მე უყოყმანოდ ვუპასუხე: „გთხოვთ, ჩვენ შევეცდებით შეძლების დაგვარად დაგეხმაროთ“.

გვახსენდება მეორე ფაქტიც. როცა ორი თვის წინედ დამფუძნებელ კრებაში ირჩეოდა საკითხი ჩვენი დელეგაციის გაგზავნის შესახებ ყუბანში, ერთმა წევრმა ოპოზიციიდან განაცხადა, შეშინებს თუ არა დემოკრატიულ სახელმწიფოს თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს ქვეყანაში, სადაც თარეშობდნენ დენიკინი და მისი რეაქციონერი გენერლები; მე, როგორც გარეშე საქმეთა მინისტრმა, მთავრობის სახელით განვაცხადე, რომ მოხალისეთა გარდა, იქ არის კაზაკობა, რომელიც განწყობილია დემოკრატიულად და მზად არის ჩვენთან მეგობრული დამოკიდებულება გააჩინოს.

ყველა ამან თქვენ ცხადად უნდა დაგარწმუნოს, რომ ყველაფერი ჩემ მიერ ნათქვამი გამომდინარეობს გულის სიღრმიდან და ჩვენი გულწრფელი სურვილს წარმოადგენს. ჩვენ მიერ განვლილი ეკლიანი გზა ჩვენს შეგნებაში აღრმავებს აუცილებლობას დავეხმაროთ თქვენ ამ წუთში და საჭიროა, რათა შეგნება იმისა, რომ ჩვენ მეგობრები ვართ, მალე მოედვას ხალხის ფართე მასებს“.

გადადის რა შემდეგ კონკრეტიულ საკითხების განხილვაზე, გეგეჭკორი ჩერდება შავი ზღვის სანაპიროს აჯანყებულთა მოძრაობის საკითხზე. აი რას ამბობს იგი ამის შესახებ:

„შავი ზღვის სანაპიროს აჯანყებულთა მოძრაობა აღმოცენდა ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად და ფრიად კრიტიკულ მომენტში ჩვენი თქვენი ურთიერთობათა განსაზღვრებლად და გამოსარკვევად. აჯანყება მოხდა ზუსტად ამ დროს, როდესაც ხდება ჩვენთვის სასურველი გარდატეხა თქვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში და იგი მით უფრო უხერხული იყო ჩვენთვის, რომ ჩვენ შორის წარმოიშვა ახალი ჯგუფი, რომლის პოლიტიკური ფიზიონომია ჯერ სრულიად არ არის გამორკვეული. უხერხულია იგი იმითაც, რომ მოხდა ბოლშევიკების ფრიად ენერგიულ შემოტევის დროს. ეჭვს გარეშეა, რომ თუ ამ მოძრაობას თავის ანაბარა მივუშვებთ, ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ ისეთი ფაქტის წინაშე, რომ იგი ბოლშევიზმის ფორმაში ჩამოყალიბდება. თვით ამ მოძრაობის მეთაურები, რომლებსაც ვიცნობ, პოლიტიკურად სრულიად [illegible] და ბოლშევიკები არ არიან, მაგრამ მე ვშიშობ, რომ მათ როგორც ფრიად [illegible], მე ვატყობდი, როგორც [illegible] ტიპის მოღვაწეებმა, შეიძლება დაკარგონ ხელმძღვანელობა ამ მოძრაობისა, [illegible] უფრო აქტიური ხალხი.

„როცა ჩვენ გვიხდებოდა საუბარი ამ მოძრაობის მეთაურებთან, ჩვენ მათ ვურჩევდით გადამწყვეტათ დაკავშირებოდნენ ეგრედწოდებულ მაკარენკოს ჯგუფს, რომელიც ჩვენ წარმოდგენილი გვყავდა ყველაზე უფრო დემოკრატიულ მიმდინარეობად.

„ჩვენ კარგათ ვიცით [illegible], რათა იქ არ გავრცელდეს ბოლშევიკების გავლენა. ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ იქნება ამ მოძრაობის სათავეში დღეიდან, თუ ვინ მისცემს მათ [illegible]. თუ ამას ბოლშევიკები აიღებენ, ისინი [illegible], თავიანთ გავლენის გავრცელების აზრით. ხოლო [illegible] ეს ჩვენთვის და თქვენთვისაც ფრიად არა სასურველია, მე მგონია ჩვენ გვმართებს ჩვენი და თქვენი მოქმედებანი ერთმანეთთან შევათანხმოთ და ფრიად ხერხიანად და უხმაუროდ მოვაქციოთ იქ საქმეთა ვითარება. მე ვფიქრობ, რომ საჭირო იქნებოდა [illegible], [illegible] ერთად იქ ჩვენი პოლიტიკური გავლენაც [illegible] გზით. მე უკვე თითქმის დავიწყე მათთან მოლაპარაკება და შეიძლება ხელი შევუწყო თქვენთან მათ დაახლოვებას. დღეს ნუ შეგვაშინებს ჩვენ მათი მისწრაფება ავტონომიისაკენ. მთავარი ის არის, რომ, რაკი ეს მოძრაობა მიმართულია დენიკინის წინააღმდეგ, გამოვიყენოთ იმ მიმართულებით, რომ არ დაწყონ კავშირი დენიკინის მეორე მტერთან,—ბოლშევიზმთან, რომელიც არის ჩვენი მტერი. ჩვენის ცნობით, დენიკინს აზრად აქვს ამ მოძრაობის [illegible]. მე [illegible] მიმაჩნია, რადგან ამასთან დაკავშირებით ისინი ბოლშევიზმში დაიწყებენ დახმარების ძებნას. გამოვდივარ რა ყველა ამ ნ [illegible], ვფიქრობ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შევუკავშირდეთ მათ, საჭიროა [illegible] მოსახლეობას დახმარება [illegible] ნავებით, უხვათ, გავგზავნოთ იქ აქტიური მუშაკები, რომლებიც შესძლებენ ხელი შეუწყონ [illegible] და არ დაუშვან გადახრა მარცხნივ და მხოლოდ მაშინ ეყნება ბოლშევიზმს ამ რაიონში იმ თავითვე კბილი ამოგლეჯილი“.

სოჭის რაიონის საკითხს გეგეჭკორი უბრუნდება რამოდენიმეჯერ იმეორებს, რომ შავიზღვის ნაპირის აჯანყებულებს ჰყავს იარაღ ქვეშ 3—4 ათასი კაცამდე. „როგორც ხედავთ, ამბობს გეგეჭკორი, საკმაოდ დიდი ძალაა“. იგი გამოსთქვამს შიშს ამ აჯანყებულთა მოძრაობის შესახებ, მისი სიტყვებით, მდგომარეობა იქ ფრიად არა ხელსაყრელია. „ამ პროცესის ნორმალურ დასრულების იმედი არ უნდა გვქონდეს და აუცილებელია ვისარგებლოთ მათთან დაკავშირების შესაძლებლობით. ეს შესაძლებლობა ჩვენ მოგვეპოვება. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იგი, დავუკავშირდეთ ამ მოძრაობას და წავმართოთ იგი კაზაკობის დემოკრატიასთან შეერთების კალაპოტით.

შემდეგ გადადის რა მთიელების შესახებ საკითხზე, გეგეჭკორი ამბობს, „ჩვენი ცნობებით, მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორიას ამ ჟამად შეადგენენ მთები, დასახლებულნი ინგუშებით, ჩაჩნებით, დაღესტნელებით, ოსებით და ლეკებით, ვაკე ადგილი კი მოხალისეთა არმიის ჯარებს უკავია. იქ არსებობს ეგრედ-წოდებული მთიელ ხალხთა თავდაცვის საბჭო, რომლის იდეას შეადგენს მთიელთა დამოუკიდებელ რესპუბლიკის შექმნა. ჩვენი ცნობებით, ეს საბჭო არ აწარმოებს არავითარ სხვა პოლიტიკას გარდა წმინდა ნაციონალურისა, თავის დამოუკიდებლობის დაცვისა. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ვიცით, რომ ამ მოძრაობას ხელს უწყობენ ბოლშევიკებიც და ოსმალებიც, და თითოეულ ამ ჯგუფთაგანს ყავს თავისი მომხრეები, რომელნიც იღებენ მათგან [illegible] და ამაზე დამოკიდებით ძლიერდება ხან ერთის, ხან მეორე ჯგუფის გავლენა. ამ ძალების ურთიერთობით განისაზღვრება თავდაცვის საბჭოს პოლიტიკა და მოძრაობის პროგრამა. თავიანთ კავშირს ბოლშევიზმთან ისინი ხსნიან ერთის მხრივ იმით, რომ, ბოლშევიკებმა, ეხმარებოდნენ რა მთიელებს კაზაკების და დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში, დასტოვეს მთიელებში თავის შესახებ კარგი მოგონება წარსულში. ხოლო მეორე მხრივ—იმით, რომ ამ კავშირის წყალობით ეძლევათ საშუალება აწარმოონ ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ. მაგრამ თვით თავდაცვის საბჭო აცხადებს, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო არც ბოლშევიკებთან, არც ოსმალებთან. მაგრამ ამ [illegible], რომელიც შესაძლებელია თქვენსა და მთიელებს შორის, ჩვენც და თქვენც უნდა გამოვძებნოთ ყოველგვარი ზომები მისი აღმოსაცილებლად [illegible] უნდა ვეძიოთ შეთანხმების გზები და მე მინდა ამ აზრით შემოგთავაზოთ თქვენ ჩემი შუამავლობა. თქვენი მოთხოვნების მინიმუმთან ერთად [illegible] გაცნობის გზით, ურთიერთა ინფორმაციის გაზიარებით, მე მგონი, მოსახერხებელი იქნებოდა გამორკვევა რომ შეთანხმებისაკენ არა ყველა გზებია გადაკეტილი, რომ არის შესაძლებლობა ურთიერთი დათმობათა გზით რაიმე შეთანხმების მიღწევისა. და ამ მუშაობისათვის უფრო მოხერხებულ ადგილად მიმაჩნია თბილისი, სადაც თქვენ შეგეძლებოდათ შეხვედროდით მათ ნეიტრალურ ნიადაგზე“.

ამავე კონფერენციაზე ყუბანის წარმომადგენელმა — ზოზულიამ დასვა შემდეგი საკითხი:

„ჩვენ სომხეთიდან გვაქვს მისაღები სამხედრო მასალა. გვსურს შევინახოთ ამ ტვირთის ნაწილი თქვენს საწყობებში შესანახავად“.

ე. პ. გეგეჭკორი. ამის შესახებ თქვენ მოელაპარაკეთ სამხედრო მინისტრს.

გედევანიშვილი. ჩვენი საწყობები [illegible] თქვენდა სამსახურად“.

ვიმეორებთ: ამ კონფერენციას ადგილი ჰქონდა 1920 წლის მარტში. 1920 წლის მარტში მოხალისეებს შავი ზღვის სანაპიროზე ურტყამდნენ ყოველი [illegible]დან, ყოველი კარიდან, ყოველი კლდიდან. მოხალისეთა არმია სასიკვდილო წუთებს განიცდიდა...

ზედმოქმედებამ შავი ზღვის პირებზე კაზაკობასთან კავშირის დამყარების აზრით, შუამავლობამ მთიელების შესარიგებლად კაზაკებთან, რომელიც იკისრეს ქართველმა მენშევიკებმა, დროებით იხსნეს მოხალისეთა არმიის ნაშთები, ხელი შეუშალეს მისი საბოლოო ლიკვიდაციის და, როგორც თქვა სოციალ-[illegible] გეგეჭკორმა, „ბოლშევიზმს კბილი გამოგლიჯა“.

მენშევიკების ამ მუშაობამ გამოიწვია სამოქალაქო ომის გაგრძელება რუსეთში, ხელი შეუწყო ყირიმის ახალი ფრონტის შექმნას, ერთი სიტყვით, გააჭიანურა დენიკინის ბანდებზე მუშურ-გლეხურ რუსეთის გამარჯვების საქმე.

თუ დავსვამთ საკითხს, რატომ მოკიდეს ხელი ქართველმა მენშევიკებმა ჩვენი კონტრრევოლიუციის ხსნის აშკარად უიმედო საქმეს,—ვფიქრობთ, ამის პასუხს ვიპოვნით როგორც გეგეჭკორის ზევით მოყვანილ სიტყვაში, აგრეთვე ჩვენ მიერ წინად გამოქვეყნებულ მასალებში.

აქ ერთგვარი როლი ითამაშა მენშევიკების შიშმა აჯანყების გავრცელებისა შავი ზღვის ნაპირებიდან საქართველოს საზღვრებში, სხვა სიტყვებით, შიშმა შინაგანი აფეთქებისა; რომელიც, უადგილო არ იქნება აღინიშნოს, ემუქრებოდა ყველა პატარა მთავრობებს ყოველთვის წითელი არმიის მნიშვნელოვანი გამარჯვების დროს. მეორეს მხრივ, ჩვენ აქ საქმე გვქონდა ეგრედწოდებულ „დემოკრატიების ფაბრიკანტებზე დასავლეთის იმპერიალისტებისათვის უპირატესობის მინიჭების“ კონკრეტულ გამოხატულებასთან, უკეთ რომ ითქვას, აქ გამოიხატა [illegible] ჯერ მართალია, ფრიად აშკარა ფორმით, მენშევიკების მონაწილეობა [illegible] ანტიბოლშევიკურ შეთქმულებაში. იხსნეს რა მოხალისეები, ქართველმა მენშევიკებმა ჩაიდინეს იგივე, რაც ინგლისელებმა, ფრანგებმა, რომლებიც მაშინ ამ კეთილშობილ ამოცანას ასრულებდნენ.

რა თქმა უნდა, ისტორიისაგან სასიკვდილოთ განწირულნი მოხალისეები ვერ გამოაცოცხლა მენშევიკურ საქართველოს [illegible] ცდებმა. უკანასკნელის მუშაობამ მხოლოდ გაახანგრძლივა ჩვენი კონტრრევოლიუციონურ ძალების აგონია. ბოლოს და ბოლოს ეს კონტრრევოლიუციონური ბანდები მუშურ-გლეხური არმიის მიერ დამარცხებულ იქნენ და განადგურებულნი. მაგრამ ეს უკვე აღემატებოდა ქართველ მენშევიკების ძალას,—საბოლოოდ [illegible] თეთრგვარდიელები, სწორედ ისევე, როგორც მათი ძალა [illegible] თავიანთი თავი გადაერჩინათ ისტორიის მრისხანე და მკაცრი განაჩენისაგან.

ი. შაფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერის შემდეგ ამხ. მ. ტოროშელიძე იძლევა წინადადებას, რათა მოსმენილ იქნეს მისალმებანი.

საქ. კომ. პარტ. ცენ. კომ. სახელით, ამხ. ოკუჯავამ თავის მისალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ მუშათა კოოპერატივი ეწყობა არა საერთო—სამოქალაქო კოოპერაციასთან საბრძოლველად, არამედ მასთან სათანამშრომლოდ. სხვა მუშათა დანარჩენ ორგანიზაციებთან ურთი-ერთ დამოკიდებულების საკითხზე ამხ. ოკუჯავამ სთქვა, რომ მუშათა კოოპერაცია შეუძლებელია, რომ მათგან მოწყვეტილი იქმნეს, პირიქით—პროფკავშირებთან უნდა ჰქონდეს ცოცხალი კავშირი და მათთან ერთად უნდა მთელი ძალა მიმართოს მუშათა მოძრაობის მონაპოვართა განმტკიცებისაკენ.

შემდეგ მოსმენილ იქნა მთელი რიგი მისალმებათა წარმოთქმული ს. პ. კ. ს. სახელით ამხ. ოდილავაძის, სრ. რ. პ. კ. ს. კავბიუროს სახელით ამხ. მიქელაძის, ს. მ. უ. ს. სახელით ამხ. ტოროშელიძის, მომარაგების სახალხო კომისარიატის სახელით ამხ. როსკის და ცეკავშირის სახელით ამხ. კანდელაკის მიერ.

დღის წესრიგი.

მისალმებათა მოსმენის შემდეგ თათბირის მიერ მიღებულია შემდეგი დღიური წესრიგი:

1. ახალი ეკონომიური პოლიტიკა.
2. მუშათა კოოპერაციის მიზნები.
3. მოხსენებები ადგილებიდან.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. მიმდინარე საქმეები.

ამხ. ტოროშელიძის მოხსენება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ

თავის შინაარსიან მოხსენებაში ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ, ამხ. ტოროშელიძემ აღნიშნა, რომ თუ მუშათა კლასი წინ და—მთანობის მდგომარეობაში,—აჯენებდა თავის წინ წარმოების განვითარების და გაუმჯობესობის საკითხს, ეხლა, როდესაც მან გაამაგრა თავისი მდგომარეობა დიდ ფრონტზე, უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს წარმოების განვითარებას.

პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს მსხვილ მრეწველობას, როგორც გავლენის უფრო ადვილად შემთვისებელს და, რომელიც უნდა ადგენდეს იქმნეს მუშათა კლასის ძალით. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა მთელი რიგი პირობებისა, როგორიცაა: რესურსები, მასალა და უპირველეს ყოვლისა სურსათ სანოვაგე. ამისათვის სასოფლო მეურნეობა უნდა გახდეს განსაკუთრებულ ყურადღებისა და მზრუნველობის საგნათ. უპირველეს ყოვლისა საჭიროა გლეხების დაინტერესება, რისთვისაც მათ უნდა მიეცეს საშუალება იმ ნაწარმოებთა თავისუფალ განკარგულებისა, რომლებიც მათ გადასახადის შემდეგ დარჩათ. ამისათვის იბადება თავისუფალ ბაზრის აუცილებელი საჭიროება. სახელმწიფო ხელისუფლება გლეხობას უწევს დახმარებას აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, სამელიორაციო საშუალებებით და სხვა.

რაც შეეხება წვრილ მრეწველობას, მუშათა კლასს, მოიკრიბა რა დიდი ძალ-ღონე, საშუალება მიეცა მოუხდინა გავლენა მასზედაც და დაუფლებინა იგი ორგანიზაცია, კოოპერატიულ ორგანიზაციებათ შეერთების საშუალებით და სხვ. ამ მხრით ცოტა რამ მიღწეულია.

ამ რიგად კოოპერაციის საჭიროება ნათელი ხდება და მის განვითარებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. იმ ქვეყნებში, როგორიც არის საქართველო, სადაც სასოფლო მეურნეობა წარმოადგენს უპირატეს ფორმას მეურნეობისას, საჭიროა სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია.

მაგრამ შეუძლებელია მრეწველობის ყველა დარგის გაძღოლა და ამიტომ დასაშვებია იჯარა, რომლიც საშვალებას რომ ვაძლევთ კაპიტალი დაეყრდნოს ქვეყნის ყველა ძალების გამოყენების საქმეში. ამ შემთხვევაში კაპიტალი ვარდება მუშათა კლასის გავლენის ქვეშ და მან უნდა ახალი სამსახური გასწიოს.

ჩვენი სასურსათო გადასახადის კომპანიის მსვლელობა

სასურსათო სახალ. კომისარიატის უკანასკნელი ბიულეტენი გვაძლევს ფაქტიურ ცნობებს სასურსათო გადასახადის კომპანიის შესახებ საქართველოში.

სხვა და სხვა მაზრებში მუშაობის მსვლელობა ერთნაირი როდია. თვით ერთისა და იმავ მაზრის სხვა და სხვა თემებში ეს მუშაობა სხ. ა და სხ. სტადიაში იმყოფება. დუშეთის, გორის, ლეჩხუმის, რაჭის, სიღნაღის და შორაპნის მაზრებში სახლის პატრონთა სიების შედგენა უკვე დაიწყეს, მაგრამ ეს მუშაობა მიდის სუსტად და დუნედ კულტურულ მუშაკთა ნაკლებობისა, ამ საქმეში მუშათათვის წავლა-მოსვლის დიდი დაბრკოლებისა და ტელეგრაფის კავშირის ხშირი გაწყვეტის მიზეზით, რის გამოც შეუძლებელია ცენტრიდან სისტემატიურად მიეცემა სახელმძღვანელო დირექტივებისა ადგილებისათვის.

გორის მაზრაში მუშაობა სასურსათო გადასახადის საქმეში, გამოცდილ მუშაკთა უყოლობის გამო, იმდენად ცუდად მიდიოდა, რომ სიების შემოწმების დროს ზოგიერთ რაიონებში (ცხინვალისა და მეჯვრისხევისაში) სიები სრულიად უვარგისად იცნეს. სხვა რაიონებშიაც იგივე ხდებოდა. მაზრის სასურსათო კომისრის განმარტებით, სიების მრავალ ნაკლების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ თემის რევკომები არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას. სიების შესწორებლად კომპარტიის წევრების მობილიზაცია მოახდინეს და დამკრავ წესით ზომები მიიღეს სიების სასწრაფოდ დასამთავრებლად. ამას გარდა სასურსათო გადასახადის ჩატარებას აბრკოლებდა უთანხმოება სამხრეთ-ოსეთის რევკომისა და გორის მაზრის სასურს. კომისარიატის შორის, რომელიც ამ ჟამად მოსპობილია.

ლეჩხუმის მაზრაში ოჯახის პატრონთა სიების შედგენა მეტად დუნედ მიდის გამოცდილ ინსტრუქტორების უყოლობის გამო. ამ სიებს ხელახლად სჭირდება შედგენა, რისთვისაც კომპარტიის წევრების მობილიზაცია მოახდინეს. სუსტი ინფორმაციის გამო, მოსახლეობა ადვილად ემორჩილება პროვოკაციას და სწორე ცნობებს არ იძლევა თავის მეურნეობის შესახებ. სიები შედგენილია 3 თემში.

რაჭის მაზრაში მხოლოდ უკანასკნელ დროს შეუდგნენ სიების შედგენას და ზემო რაჭის თემებში გაგზავნეს ინსტრუქტორები ამ მუშაობის ხელმძღვანელობისათვის.

სიღნაღის მაზრაში მუშაობა ძლიერ კოჭლობს მუშაკთა უყოლობის გამო, ხოლო წინორის წყლის რაიონში მუშაობა დგას, რადგან ყველა მუშაკი ავად არიან.

თიანეთის მაზრაში 222 სოფლიდან სიები შეადგინეს მარტო 48 სოფელში, შორაპნის მაზრაში სიები შედგენილია 90 სოფელში 220 სოფლიდან.

მაზრების მეორე ჯგუფში—ახალქალაქის, ბორჩალოსა, ქუთაისისა, ზუგდიდისა, ახალსენაკისა, ოზურგეთისაში, მუშაობა გაცილებით უფრო კარგათ მიდის ვიდრე პირველ ჯგუფში.

ახალქალაქის მაზრაში ოჯახის პატრონთა სიები შეადგინეს, შეამოწმეს და ამ ჟამათ ანგარიშობენ განკვეთებს და ადგენენ გადასახადის მიმცემთა სიებს, რომლებსაც ამ დღეებში რწმუნებულს გადასცემენ. ბორჩალოს მაზრაში სიებს ადგილობრივ ამოწმებენ და გადასახადს ანგარიშობენ. ასევე ქუთაისისა და ზუგდიდის მაზრაში. ოზურგეთის მაზრაში სახლის პატრონთა სიების შედგენა, მათი შემოწმება და გადასახადის მიმცემთა სიების შედგენა თავდება და მალე გადაეცემა რწმუნებულს, თუ გადაულებელი წვიმა და დიდი თოვლი მთასა და მთის ძირის სოფლებში არ დააბრკოლებენ საქმეს.

საქმე უფრო წინ წავიდა მაზრების მესამე ჯგუფში—ახალციხისა, თბილისისა და თელავისაში, რწმუნებულმა დღეში გამოგზავნა, რომ ახალციხის მაზრაში იგი უკვე შეუდგა სასურსათო გადასახადის მოკრებას 6 რაიონში: ეს პირველი ცნობაა სასურს. გადასახადის მოკრების შესახებ საქართველოში.

თბილისის მაზრაში სიები დაასრულეს და გადასცეს რწმუნებულს თელეთისა, ალგეთისა, ყარაიაზისა, წალკისა და კოჯრის რაიონებში. ჟურეთის რაიონში ანგარიშობენ განაკვეთებს, დანარჩენ 4 რაიონში ათავებენ სიების შემოწმებას.

თელავის მაზრაში სიები დასრულებულია და შემოწმებულია მაზრის სასურსათო კომისარის მიერ კომპარტიის წარმომადგენლებთან ერთად. 11 თემში უკვე დაამთავრეს გადასახადის ანგარიში, დანარჩენებში ათავებენ. მუშაობა სწრაფი ტემპით მიდის. ასეთი ნაყოფი მოიტანა 15 კულტურულ მუშაკის მუშაობამ.

სამს რაიონში—ბათომის ოლქი, ზემო სვანეთი და სამხრეთ ოსეთი—მუშაობა ამ საქმეში ეს არის ეხლა იწყება.

ბათომის ოლქში დაარსეს საოლქო კომისია სასურსათო გადასახადისა საოლქო სასურს. კომისრის თავმჯდომარეობით. მაგრამ მაშინვე შეხვდა საკითხი,—სასურსათო გადასახადი ვრცელდება თუ არა ბათომის ოლქზე და რა სახით უნდა ჩატარდეს იგი. საქართველოს რევკომმა განმარტა, რომ სასურს. გადასახადი ვრცელდება აჭარაზედ, მაგრამ მისი ჩატარება და მოკრება უნდა იყოს აჭარის მეჯლისის ხელში, ამის შემდეგ კომისიის მუშაობა შესწყდა და აღარავითარი ცნობა აღარ მოსულა იქიდან. ზემო სვანეთისთვის ერთი თვის წინ სამაზრო სასურს. კომისარმა მიიღო სასურსათო გადასახადის ჩასატარებლათ. მაგრამ რა მდგომარეობაშია იქ ეს მუშაობა, ცნობები არა გვაქვს.

სამხრეთ ოსეთში იქაურ რევკომსა და გორის სამაზრო სასურსათო კომისარიატს შორის საზღვრების თაობაზე ზოგიერთ უთანხმოების შემდეგ, მუშაობა, ეტყობა, დაიწყო. სამხრეთ ოსეთის რევკომმა მიიღო სასურსათო სახ. კომისარიატიდან ყველა მასალები და ამ დღეებში უნდა შეუდგომოდა სიების შედგენას იმ თემებსა და სოფლებში, რომლებიც შედიან მის რაიონში.

პარტიული ცხოვრება

პარტიის გაწმენდის შედეგები

თბილისის ორგანიზაციის მე 3 რაიონში. კომპარტიიდან დათხოვნილ წევრთა სია:

1. მამედოვი ახმედ მუსა ოღლი—პოლიტიკურად არა საიმედო, და მერყეობისათვის.
2. სეიფული ზადე ალისკარ—საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციისთვის.
3. მუსტაფა მარდანოვი—სპეკულიაციისთვის.
4. ისმანბეგლი იბრაგიმი—მერყეობისთვის.
5. კალანთაროვი ნიკოლოზ ვართანის ძე
6. ოგანეზიანცი ნიკოლოზ მათევოსის ძე.
7. ძიძიზაშვილი იოსებ ალექსანდრეს ძე—სახალხო ქონების გატაცებისთვის.
8. სარქისოვა მარიამ არშაკის ასული—როგორც უცხო ელემენტი.
9. ოგანეზოვი სარ ჩური—სახალხო ქონების მითვისებისთვის.
10. ბახტუროვი ამაიაკი—ბნელი წარსულისთვის.
11. არუთიუნოვი სარქისი—ქურდობისა და პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის.
12. გუსეინ ზადე ალიკპერ—ქურდობის და ბანქოს თამაშისთვის.
13. ეჯიბაია ოლგა თევდორეს ასული—პარტიულ დისციპლინის ურჩობისთვის.
14. სტეფანოვი ლაზარე თათევოსის ძე—საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციისთვის.
15. ფირაჯ ოღლი ტურულან ზადე სპეკულიაციისთვის.
16. ვარტაპეტოვი არმენაკ გასპარის ძე—საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციისთვის.
17. ჯაფარ ზადე მამედ ჯაფაროვი—ვაჭრობისთვის.
18. საროიანი აიკრან არუთინის ძე—ლოთობისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციისთვის.
19. ტიტუნაშვილი ივან გაბრიელის ძე—პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის.
20. არუთინოვი აშოტ მესროპის ძე—სპეკულიაციისა და პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის.
21. არუთინოვი ტიგრან გაბრიელის ძე—პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის.
22. ხალილოვ იუსუფ ოღლი—ლოთობისა და პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის.
23. ხუშტარია ნიკოლოზ გიორგის ძე—პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის.
24. მაილიანცი მიხეილ მნაცაკანის ძე—შკურნიკობისა და კარიერისტობისთვის.
25. გრიქუროვი გერასიმე ბეგლარის ძე—რელიგიოზობისთვის.
26. გოროვოვი იგნატი ივანეს ძე სპეკულიაციისთვის.
27. ალახვერდოვი ალი ბაბა ოღლი—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
28. მუსტაფა ოღლი ახმედ—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
29. გასან რიზა ოღლი—ლოთობისთვის.
30. გუსეინ ზადე ალი ბალა—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის და პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის.
31. აბას კული ოღლი ბაგირ—სპეკულიაციისთვის.
32. რიზა ოღლი მამედ—ვაჭრობისათვის.
33. შახნაზაროვი გარეგინი—საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციისთვის.
34. გამაზოვი იაკობი—როგორც უცხო ელემენტი.
35. მერიკაშვილი მიხეილ გიორგის ძე—სახალხო ქონების გატაცებისთვის.
36. ხოლმსკი პეტრე ვლადიმერის ძე—სპეკულიაციისთვის.
37. კათოლიკიანი არტაშ ვართანის ძე—პარტიულ საიდუმლოების გამჟღავნებისთვის.
38. პაპუაშვილი ვანო პავლეს ძე ლოთობისთვის.
39. ამაზიაშვილი პეტრე სუმბათის ძე—ლოთობისთვის.
40. კონტრეცკი გაბრიელ იაკობის ძე—პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის.
41. კონჩიევი ხუსეინ მუხტარის ძე სპეკულიაციისთვის.
42. შიკუთაშვილი სოლომონ ნიკოლოზის ძე—მენშევიკურ გადახრილობისთვის.
43. პუდიკოვი მიხეილ ანდრიას ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
44. სიმონენკო ემილია ემანუელის ასული—რელიგიოზობისთვის.
45. მალენსკაია ანნა კონსტანტინეს ასული—რელიგიოზობისთვის.
46. ვასილევი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
47. პეტროსიანი არამ პეტრეს ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის,
48. თეიმურაზოვი მიხეილ არტემის ძე—სპეკულიაციისთვის.
49. მელიქოვი ტიგრან სერგეის ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
50. აზაროვი ნერსეს ნიკოლოზის ძე—როგორც არა საიმედო ელემენტი.
51. მანთაშოვი გიორგი ილიას ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის,
52. აზაროვი გეორგ ნიკოლოზის ძე—დეზერტირობისთვის.
53. თარხანოვი ლევონ მიხეილის ძე—როგორც არა საიმედო ელემენტი.
54. ვართანოვი ბაღდასარ მელიქის ძე—სპეკულიაციისთვის.
55. ჯანიბეგოვი იოსებ პავლეს ძე—როგორც არა საიმედო ელემენტი.
56. ცოკანაროვი ერვანდ ივანეს ძე—მენშევიკურ გადახრილობისათვის.
57. გრიგორიანი ვართან სერგეის ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
58. მიკირტიჩანი დავით ამბარცუმის ძე—იგივეისთვის.
59. მიკირტიჩანი ენოხ ამბარცუმის ძე—ქურდების შეფარებისთვის.
60. არუთიუნოვი არტაშეს გრიგოლის ძე—მექრთამეობისთვის.
61. ქამალიანი ოგანეზ მელიტონის ძე—დეზერტირობისთვის.
62. პილიუგინი ვასილ ნიკოლოზის ძე—ლოთობისთვის.
63. ოსიპოვა აიკანუშ არუთინის ასული—დეზერტირობისთვის.
64. ნაზარიანცი სარქის თათევოსის ძე—სპეკულიაციისთვის.
65. ბაღდასაროვი ხორენი—ქურდობისთვის.
66. მარდანოვი იოსები—როგორც არა საიმედო ელემენტი.
67. ყამაზოვი იაკობი—სამსახურში დანაშაულობისთვის.
68. მამედოვი გულის გუსეინ ოღლი—ვაჭრობისთვის.
69. ალი ზადე იბრაგიმი—პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის და სპეკულიანტების მფარველობისთვის.
70. შაშინოვი მიხეილ არტემის ძე—როგორც არა საიმედო.

გამორკვევამდე:

1. ჯაფაროვი ჯაფარ რუსტამის ძე—რეკვიზიციის და ანკეტის წარმოდგენამდე.
2. მარტიანოვი სერგეი.
3. ბუტჩოვი გიორგი.

გადაყვანილია კანდიდატებათ

1. მაზმუდ ოღლი მახმუდ სამი თვით ამა წ. 22 ნოემბერს.
2. ისმაილოვი ასკე ასერ ოღლი ა. წ. 22 ნოემბერს.
3. აზიმბეკოვი აზიმ ალი ოღლი ექვსი თვით 22 ნოემბერს ა. წ.

დამტკიცებულია წევრებათ

1. გაჯიბეკოვი კიარიმ იუსუფ ზადე სტაჟით 1921 წლიდან.

2. კალმახელიძე ვლადიმერ პავლეს ძე, 3. შენგელია მალაქია კონსტანტინეს ძე, 4. კურკჩიევი ლეონტი დეონის ძე, 5. ლარიონოვი ბაკა სტეფანეს ძე, 6. ტერ-გევონდიანცი ლევან ეგორის ძე. 7. მაქსიმოვი ვლადიმერ ფილიპეს ძე, 8. ლოგიანი ბაირატ ვასილის ძე, 9. ტერუნოვი სამსონ გიორგის ძე—პარტიულ დისციპლინის დარღვევისთვის გაფრთხილებით.

10. მიხაილიანი ლეონ არკადის ძე სამსახურის მოვალეობათა პირნათლად შეუსრულებლობისთვის გაფრთხილებით.

11. ჭრინოვი ოგანეს გიორგისძე.

12. ომაროვი ბახში—დამტკიცებულ საქ. წით. არმიის სამხედრო კომისიის მიერ.

კომისიის თავმჯდომარე ი. ჩიკაროვი.

მდივანი ქოჩი.

წარმოებით პროფკავშირებში

მეღვინეთა და ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირში.

მეღვინეთა და ტრანსპორტის მუშათა პროფწარმოებითი კავშირის ცენტრალურ გამგეობის ორგანიზაციულმა განყოფილებამ დაასრულა თბილისში ქარხნის კომიტეტების და ადგილობრივ კომიტეტების არჩევნები. კერძო დაწესებულებებში მომუშავენი შეერთებულია ორ რაიონათ დამოუკიდებელ ადგილობრივ კომიტეტებით—მიხეილის და ვერასოლოლაკისა.

აღმშენებელთა და ხე ტყის დამუშავებელთა კავშირის პლენუმში.

შემდგარ 15 და 16 ნოემბრის მრავალ რიცხოვან ცენტრალურ მართველობის კავშირის პლენუმის მორიგ სხდომას დაესწრნენ დელეგატები ფოთის, ბათომის, საჭილავოსი (ქუთაისის გუბერნია) სუმბატოვისა, ბორჯომის, ქანის, გორის, რომლებმაც გააკეთეს მოხსენებები ადგილობრივ პროფესიონალურ მუშაობის შესახებ. ადგილობრივ მთავარ საკითხათ არის საკითხი ახალი ეკონომიური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისა. ცენტრალური მართველობის პლენუმის წინანდელ სხდომებთან შედარებით პროფესიონალური მუშაობა ადგილობრივ გამოცოცხლდა, მაგრამ, საუბედუროთ მომხდარი შეერთება ცენტრში ორი მონათესავე წარმოებითი პროფკავშირისა ხე ტყის დამუშავებელთა და აღმშენებელთა ერთ ძლიერ კავშირათ ადგილობრივ ჯერ იყო გატარებული ცხოვრებაში.

ამ ცნობების შესახებ ადგილებიდან პლენუმის მიერ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა მოხსენებანი ადგილებიდან, აღმშენებელთა და ხე-ტყის დამუშავებელთა შეერთებულ კავშირის ცენტრალური გამგეობის პლენუმი თუმცა აღნიშნავს ზოგად გამოცოცხლებას პროვინციის მუშაობაში, მაგრამ ხაზს უსვამს პროფესიონალურ და ეკონომიურ მუშაობის გაფართოების და გაღრმავების საჭიროებას, რისთვისაც წინადადებას აძლევს ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმს თავის დროზე აცნობოს ხოლმე ადგილებს ცირკულიარული წერილებით და ინსტრუქციებით ცენტრში მიღებულ ძირითად ეკონომიურ და სატარიფო დებულების გატარების შესახებ.

ადგილებიც ვალდებულნი არიან თავის მხრივ გამოიჩინონ მაქსიმალური ინიციატივა ახალი ეკონომიურ და სატარიფო პოლიტიკის გატარებაში და დაიჭირონ მჭიდრო კავშირი ცენტრთან.

საჭილავის სახერხი ქარხნის შესახებ, რომელსაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა სამეურნეო ცხოვრებაში, პლენუმი წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს მიიღოს სასწრაფო ზომები და საჩქაროთ გაატაროს ცხოვრებაში მუშათა ტარიფი ახალი სატარიფო პოლიტიკის და შრომის ჯილდოს მიხედვით, იმისდამიუხედავათ, თუ ვის განკარგულებაში იმყოფება ქარხანა.

კავშირის პასუხის მგებელ მდივანმა ამხ. გეშელინმა თავის მოხსენებაში ცენტრალურ გამგეობის მოქმედების შესახებ აღნიშნა, რომ პირველ მომენტიდანვე აღმშენებელთა და ხე-ტყის დამუშავებელთა კავშირის შეერთებაში არ იყო არავითარი ანტაგონიზმი, პირიქით, არსებობს სრული სოლიდარობა და ცენტრალურ გამგეობის განყოფილებებში მარჯვეთ დასძლიეს დაკისრებული დავალება.

ამ მოხსენების გამო გამოტანილია რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. გეშელინის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ აღმშენებელთა და ხე-ტყის დამუშავებელთა შეერთებულ კავშირის ცენტრალურ გამგეობის პლენუმმა, დაადგინა პრეზიდიუმის მუშაობის ძირითადი ხაზი ჩაითვალოს სწორათ, სამეურნეო ორგანოების შესახებ. პლენუმი სთვლის საჭიროთ ახლავე, მრეწველობის გამოკვლევით კომისიის მუშაობის შემდეგ შეუდგეს ტყის კომიტეტის გადაკეთების თანახმათ საერთო პროფესიონალურ დებულებისა სამეურნეო ორგანოების შესახებ. პლენუმი წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ტყის კომიტეტის და სახელმწიფოს კომუნალურ შენობათა მრეწველობის დეტალურათ სწორე და წარმატებითი გამოკვლევას.

პროვინციაში

ძიმითი (გურია)

ძიმითის თემი მცხოვრებთა რიცხვით მდიდარია მასში 600 კომლზე მეტი ითვლება, თემი მრავალ ერთმანეთზე დაშორებულ სოფლებიდან შესდგება. მცხოვრებლები უმეტესათ ღარიბებია, რადგანაც ადგილობრივ არ იშოვება საყოფი სახნავ-სათესი მიწა, რაიც იწვევს გლეხების სუფსის და ლანჩხუთის რაიონებში საყანედ წასვლას.

სწავლა განათლებისადმი სიყვარული აქ დიდია, რასაც მოწმობს სასწავლებლების და მოწაფეების სიმრავლე არსებობს რვა მთლიანი შრომის სკოლა და სხვა სასწ. მოწაფეთა რიცხვი ყველა სკოლებში საკმაოზე მეტია სკოლები, სათანადო შენობების უქონლობის გამო, დიდ გაჭირვებას განიცდის, რაიც ძლიერ ხელს უშლის, როგორც მასწავლებლებს, ისევ მოსწავლე ახალგაზრდობას, არსებული შენობები და პარტები მოითხოვს სასწრაფო შეკეთებას, რასაც ყურადღება უნდა აქცევდეს რევკომი და თემის სააღმშენებლო კომისია.

16 ნოემბერს გვესტუმრა ოზურგეთიდგან განათლების წევრი ამხ. კირილე ჩხარტიშვილი, რომელსაც დავალებული ქონდათ, გაეგო რა მდგომარეობაშია საერთოდ სწავლის საქმე ძიმითში, წერა-კითხვის უცოდინართათვის მასწავლებლების დანიშვნა და სამკითხველოების დაარსება. მოხდა შეერთებული კრება მასწავლებლების, რევკომის და პარტკომის, მოხსენება შრომის სკოლის მნიშვნელობაზე გააკეთა ამხ. კირილე ჩხარტიშვილმა. შემდეგი მოხსენებას აკეთებს სკოლის გამგე ამბროსი შევარდნაძე სკოლის შენობებს უვარგისობა უქონლობაზედ და მასწავლებლების ენერგიულ მუშაობაზე.

რადგანაც გამოირკვა, რომ, მიუხედავათ შენობების უქონლობისა და სხვა მრავალი დაბრკოლებებისა, სწავლა ძიმითში მიმდინარეობს კარგათ, რაიც მიეწერება მასწავლებლების სიფხიზლეს და მუყაითობას. წერა-კითხვის უცოდინართათვის გაიხსნა სასწავლებლები: ქვედა ძიმითში, ზედა ძიმითში, ქვედა მამათში, ზედა მამათში და კონჭკათში.

გადატრიალების შემდეგ თემში სრული სიწყნარეა. არ ყოფილა შემთხვევა ბანდიტიზმისა და ყაჩაღობის, არც ქურდობის და სხვა რაიმე ბოროტმოქმედებისა. პროვოკატორების ჭორები ეს ეს გვერდა მცხოვრებთ პირველ ხანებში, მაგრამ მათი გაკოტრების შემდეგ ხალხი დაწყნარებული მშვიდობიანად განაგრძობს სააღმშენებლო მუშაობას. მოსავალი წელს საშუალოზე ნაკლებია, რაიც გამოიწვია, ჯერ ხანგრძლივმა გვალვებმა და შემდეგ ხანგრძლივმა წვიმებმა.

პარტიული მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება. ხშირად ხდება სამხედრო ვარჯიშობა და სისტემატიურად წვრთნებით მეცადინეობა, რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობით, ყველა დაწესებულებები თავიანთ სიმაღლეზე დგანან.

მ. შუაღულისპირელი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩუბინაშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—დიდუბე ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—ბაზრის ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდე

ჟურნალი „ქურა"

ამ მოკლე ხანში გამოვა სალიტერატურო პროლეტარული ჟურნალი „ქურა" იუმორისტული განყოფილებით.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5.) სანდრო ეულის სახელზე.

საბჭოთა

— დაწყებულია მილიციონერების მიღება სამსახურში ს. ს. ს. რ. მთავარ მილიციის მარქაფო (რეზერვის) რაზმში. სამსახურში შეიძლება მიიღებულ იქნენ შემდეგი პირები: 1. არა ნაკლები 21 წლის და არა მეტი 40 წლის სისხლის სამართლის და გამოძიების ქვეშ. დაკმაყოფილება ყველა საჭირო საგნით, გარდა ჯამაგირისა, სწარმოებს იმ საერთო წესით, რომელიც მიღებულია გარნიზონის ნაწილებში. სამსახურში მიღებული მოვალეა ისახუროს არა ნაკლებ 1 წლისა.

მისამართი: ანდრეევის ქუჩა № 53. (ყოფილი სამხედრო სამაზრო კომ. შენობა).

მთ. მილიციის მარქაფო რაზმის შტაბი.

[illegible] 10,391 ნ. 18. ს. 6. [illegible]